CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

EUROPEAN
COMMUNITY
FOUNDATION
INITIATIVE

Brot
für die Welt

სსოგადოებრივი ფონდი

საზოგადოებრივი ფონდის საქართველოში ინიცირების მიზანშეწონილობის კვლევა

(თელავის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაგალითზე)

ანგარიში

2020 წელი

მკვლევარები:

- **თამარ მახარაძე** - Ph.D. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- **ზურაბ ტატანაშვილი** - სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG

წინათქმა

კვლევა მომზადდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ერთ-ერთი ამოცანა ადგილებზე საზოგადოებრივი ფონდების (**Community Foundations**) შექმნის და განვითარების მხარდაჭერა გახლავთ. წინამდებარე კვლევის მიზანია იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ფონდის ფუნდამენტურ განვითარებაზე საქართველოში, უფრო კონკრეტულად კი შერჩეულ ორ ლოკაციაზე. კვლევის ანგარიში მოიცავს როგორც სამაგიდე, ისევე საველე ანუ თვისებრივი კვლევის შედეგებს.

შინაარსი

ნაწილი I: სამაგიდე კვლევის ანგარიში 5
საერთაშორისო გამოცდილების ზოგადი მიმოხილვა 6
საზოგადეობრივი ფონდების და საზოგადოებრივი ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაციების განმარტებები 6
საზოგადოებრივი ფონდის ძირითადი კომპონენტები და მახასიათებლები 7
1. გეოგრაფიული არეალი 9
2. გრანტის გამცემის როლი 9
3. ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარება 10
4. თემის შეხვედრის და კომუნიკაციის ადგილი 10
5. თემატური მრავალფეროვნება 11
6. გამჭვირვალობა და კარგი მმართველობა 11
7. გრძელვადიანი ხედვა 12
საზოგადოებრივი ფონდის დაარსება ორი ქვეყნის მაგალითზე 12
რუმინეთი 12
უნგრეთი 14
სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დინამიკა საქართველოში 17
დემოგრაფია და მიგრაცია 17
სიღარიბე, კეთილდღეობა და შემოსავლების განაწილება 17
ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები - ზოგადი სტატისტიკა 18
სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დინამიკა თელავში და ლაგოდეხში 22
დემოგრაფია 22
სიღარიბე, კეთილდღეობა და შემოსავლების განაწილება 23
ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები - ზოგადი სტატისტიკა 25
ნაწილი II: საველე კვლევის ანგარიში 27
კვლევის მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგია 28
კვლევის მონაცემების ანალიზი 29
სამიზნე მუნიციპალიტეტების ძირითადი რესურსები და გამოწვევები 29
საზოგადოებრივი ფონდის განვითარებაში ადგილობრივი თემის ჩართულობა 32

საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები 38
ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.....43
იდენტობა/თვითშეგნება.....44
საერთო პრობლემა / თემა.....46
ადგილზე არსებული რესურსები 46
ხალხი / ადგილობრივი მოსახლეობა.....48
ბიბლიოგრაფია.....55

ნაწილი I: სამაგიდე კვლევის ანგარიში

საერთაშორისო გამოცდილების ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში აღწერილია საზოგადოებრივი ფონდების და საზოგადოებრივი ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაციების ძირითადი განმარტებები. ასევე ჩამოთვლილია სათემო ფონდის ძირითადი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მათ სხვა ტიპის ორგანიზაციებისგან. ბოლოს კი მოყვანილია ორ ქვეყანაში საზოგადოებრივი ფონდის შექმნის ისტორია, რაც დაეხმარება მკითხველს გაიაზროს თუ რა პროცესებთან არის დაკავშირებული ასეთი ფონდების ჩამოყალიბება და რა მხარდაჭერა ესაჭიროება გარემოს მხრიდან საინიციატივო ჯგუფებს.

საზოგადეობრივი ფონდების და საზოგადოებრივი ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაციების განმარტებები

პირველი საზოგადოებრივი ფონდი შეიქმნა აშშ-ში ოჰაიოს შტატ ქალაქ კლივლენდში, 1914 წელს ფრედერიკ გოფის მიერ. ახალ შექმნილ *ფონდს ჰქონდა ორი მიზანი: 1. თემისთვის აქტუალური ჰრობლემების გადასაჭრელად, მოსახლეობის იმ ნაწილისგან ფინანსური და სხვა რესურსების მობილიზება, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს ქონება; 2. ამ რესურსების უსაფრთხო და სტაბილური წვდომის უზრუნველყოფა სამოქალაქო ინიციატივებისთვის, რომლებიც მორგებულია თემის საჭიროებებს და ადგილობრივ სპეციფიკას* (Hernández, Hernández, & Díaz, 2010).

საზოგადოებრივი ფონდების ატლასის მიხედვით, 2019 წელს მსოფლიოში მოქმედებდა 1876 სათემო ფონდი. მათ შორის 1033 ჩრდილოეთ ამერიკის, 671 ევროპის, 63 აზიის, 56 ავსტრალიის და ოკეანეთის, 33 აფრიკის და 12 სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. ბოლო ფისკალური წლის ჩათვლით საზოგადოებრივი ფონდებმა გრანტის სახით გასცეს ჯამურად 5 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა. (Community Foundation Atlas, 2020).

არ არსებობს საზოგადოებრივი ფონდების ერთიანი, შეჯერებული განმარტება. განმარტებებში ხშირად ასახულია ქვეყნის და ზოგადად გეოგრაფიული ლოკაციის სპეციფიკა. თუმცა ბუნებრივია არსებობს გარკვეული საერთო მახასიათებლები.

აშშ-ში მოქმედი ფონდების საბჭო ***საზოგადოებრივ ფონდებს განმარტავს როგორც გრანტების გამცემ ორგანიზაციას, რომლის მიზანია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება***. ისინი მობილიზაციას უკეთებენ ინდივიდების, ოჯახების და ბიზნეს ორგანიზაციების ფინანსურ რესურსებს რათა დაეხმარონ თემში მოქმედ არამომგებიან

ორგანიზაციებს. საზოგადოებრივი ფონდის ქონება შეიძლება ვარირებდეს $100 000-დან $1.7 მილიარდამდე. საზოგადოებრივი ფონდები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თემში არსებული პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში. ისინი გრანტებს გასცემენ ისეთი სფეროების განვითარებაზე, როგორებიცაა: ხელოვნება, განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება, გარემოს დაცვა, კატასტროფების შედეგების აღმოფხვრა (Council on Foundtions, 2020).

ევროპის საზოგადოებრივი ფონდების ინიციატივა, რომელიც ევროპის და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ საზოგადოებრივ ფონდებს და მათ მხარდამჭერ ორგანიზაციებს აერთიანებს, საზოგადოებრივი ფონდების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: ***საზოგადოებრივი ფონდი არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზებას და ინვესტირებას გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში. მათი მიზანი არის ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ინდივიდების და ორგანიზაციების თემის განვითარებისთვის გაერთიანების გზით.*** (European Community Foundation Initiative, 2020).

საზოგადოებრივი ფონდები *დამოუკიდებელი, ფილანტროპული, ადგილობრივად მოქმედი ორგანიზაციებია, რომლებშიც თემის უკეთესი მომავლისთვის ნებისმიერს შეუძლია შეიტანოს წვლილი იდეების, დროის და თანხის სახით. საზოგადოებრივ ფონდებს აქვთ სამი ძირითადი მიზანი: 1. გაუმჯობესოს ინტერაქცია თემის შიგნით; 2. გრძელვადიანად დაეხმაროს სათემო პროექტებს; და 3. მდგრადად გადაჭრას თემის პრობლემები.* (European Community Foundation Initiative, 2020).

საზოგადოებრივი ფონდის ძირითადი კომპონენტები და მახასიათებლები

საზოგადოებრივი ფონდების დიდი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს. ამერიკის საზოგადოებრივი ფონდების ნაციონალური სტანდარტები ზომავს მათ ოპერირებას ექვსი ძირითადი კომპონენტის მიხედვით: 1. მისია, სტრუქტურა და მართვა; 2. რესურსების განვითარება; 3. მართვა და ანგარიშგება; 4. გრანტების გაცემა და თემის ლიდერობა; 5. დონორებთან ურთიერთობა; და 6. კომუნიკაცია. ამ კომპონენტების გაზომვის შემდეგ კი ანიჭებს ხარისხის სერტიფიკატს (Council on Foundtions, 2020). შესაბამისად, საზოგადოებრივმა ფონდებმა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ექვს მიმართულებას.

სხვადასხვა წყაროების მიხედვით, საზოგადოებრივი ფონდების წარმატებული მუშაობისთვის მნიშვნელოვანია 4 ძირითადი ინგრედიენტი:

1. **იდენტობა/თვითშეგნება** (Identity): ადგილის/თემის მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობა უმნიშვნელოვანესი რესურსია საზოგადოებრივი ფონდის განვითარებისთვის. ის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადამიანების მოტივაციისთვის რათა ისინი ჩაერთონ საზოგადოებრივი ფონდების მიერ წამოწყებულ აქტივობებში მათივე რესურსით ან იდეით. უშუალო, პირადი ურთიერთობები თემის სხვადასხვა წევრთან (ბიზნესი, ინდივიდები და ა.შ.), ავითარებს როგორც თემთან მიკუთვნებულობის, ისე საზოგადოებრივი ფონდთან თანამშრომლობის სურვილს.
2. **საერთო პრობლემა/თემა** (Common issue): საერთო პრობლემების ან სამუშაო საკითხების სიმრავლე კარგი საწყისი და ხელშემწყობია თემის გაერთიანების, საზოგადოებრივი ფონდის შექმნა/ფუნქციონირებისთვის. პრიორიტეტები, რომლებზეც მუშაობს საზოგადოებრივი ფონდი უნდა აერთიანებდეს თუ მთლიან თემს არა, თემის გარკვეულ ნაწილს მაინც.
3. **ადგილზე არსებული რესურსები** (Resources): მნიშვნელოვანია რომ იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც ფარავს საზოგადოებრივი ფონდი, იყოს გარკვეული ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ძალა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობისთვის.
4. **ხალხი** (People): მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა აუცილებელია იმისთვის რომ საზოგადოებრივი ფონდი შედგეს. მაგ.: ერთი სოფლის ან მცირე ზომის დასახლების პირობებში რთული იქნება საზოგადოებრივი ფონდის მდგრადი ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსის მობილიზება. სხვადასხვა წყაროების მიხედვით მოსახლეობის სასურველ მინიმალურ ოდენობად სახელდება 50 000.

ადგილობრივი რესურსების მოზიდვა და ამ რესურსის რეინვესტირება თემში არის საზოგადოებრივი ფონდების ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც მას სხვა ფონდებისგან განასხვავებს. სხვადასხვა წყაროების მიხედვით ადგილობრივად მოზიდული თანხის წილი საზოგადოებრივი ფონდის ბიუჯეტში უნდა შეადგენდეს

80%-ს. დანარჩენი 20% შესაძლოა მოზიდულ იქნეს საერთაშორისო დონორებისგან ან სხვა წყაროებიდან.

მსოფლიოში არსებულ 1876 საზოგადოებრივ ფონდში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი თითოში 7-8 ანაზღაურებადი თანამშრომელია. ფონდებიდან 65%-ში 5 და ნაკლები თანამშრომელია დასაქმებული (Community Foundation Atlas, 2020).

სერბეთში მოქმედი ფონდი „თრაგის“ (Trag Foundation) - ერთ-ერთ დოკუმენტში აღწერილია დასავლეთ ბალკანეთში საზოგადოებრივი ფონდების მოძრაობის 7 ძირითადი მახასიათებელი:

1. გეოგრაფიული არეალი

საზოგადოებრივი ფონდების ძირითადი მახასიათებელია მისი გეოგრაფიული საზღვრები, რომელიც შეიძლება იყოს *დასახლების, მუნიციპალიტეტის, ქალაქის ან რეგიონის მასშტაბის*. მიუხედავად ფონდების გეოგრაფიული მოცვის მრავალფეროვნებისა, მიჩნეულია რომ მათი დაფარვის ზონაში მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა არის 50 000-დან 500 000 -მდე, რადგან ეს თემთან მჭიდრო კონტაქტის, სამოქალაქო ინიციატივების ოპტიმალური რაოდენობის და თანხების წარმატებული მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს რომ ამაზე დიდი ან მცირე მასშტაბის საზოგადოებრივი ფონდები ვერ იქნებიან წარმატებულნი. მნიშვნელოვანია, არ მოხდეს ქალაქის ან თემის მხოლოდ განვითარებული ნაწილის მოცვა და ფონდმა იმუშაოს ნაკლებად განვითარებული, ხშირად იგნორირებული დასახლებების ინტეგრირებისკენ.

2. გრანტის გამცემის როლი

საზოგადოებრივი ფონდების უპირველესი ფუნქციაა გრანტების გაცემა, რათა ფინანსური დ სხვა რესურსებით მხარდაჭერის გზით წაახალისოს ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთონ თემში ცვლილებების განხორციელებაში. ამ როლის შესასრულებლად მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ ფონდებს ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია თემის წევრებთან, რათა სწორად შეაფასონ თემის საჭიროებები და შესაძლებლობები და, შესაბამისად, მიმართონ მოზიდული თანხები. გარდა დაფინანსებისა, საზოგადოებრივი ფონდები თვითონაც ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომელთა მიზანია თემის წევრების გაერთიანება, ახალი გეოგრაფიული არეალის მოცვა ან ფონდების მოზიდვა.

3. ადგილობრივი ფილანტროპიის განვითარება

საზოგადოებრივი ფონდები ავითარებენ ადგილობრივი ფილანტროპიის კულტურას ფონდების მუდმივი მოზიდვით მათ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მოსახლეობისგან და მოქმედი კომპანიებისგან, შემოწირულობების სახით. ეს თანხები ბრუნდება თემში და მუშაობს მისი აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. საზოგადოებრივი ფონდები წაახალისებენ აქტივიზმს, იდეების მქონე ადამიანების დაკავშირებით იმ ადამიანებთან ვისაც ამ იდეების განხორციელების მატერიალური შესაძლებლობა აქვთ. საზოგადოებრივი ფონდების მოვალეობაა მოიპოვოს დონორების ნდობა და რწმენა იმისა, რომ ისინი კარგად იცნობენ თემის პრობლემებს და შეუძლიათ ამ პრობლემების ეფექტურად გადაჭრა. მეორე მხრივ, მათ უნდა შეეძლოთ აქტივისტების მოტივირება, წახალისება და რესურსებით დახმარება ახალი ინიციატივების განხორციელებისთვის. დამატებითი თანხებისთვის, საზოგადოებრივ ფონდებს შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ მთავრობას ან/და ინსტიტუციურ დონორს, თუმცა ამ ფორმით მოზიდულმა თანხამ *არ უნდა გადააჭარბოს 35-40%-ს* რათა, ფონდმა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და მოქნილობა. მნიშვნელოვანია, ინდივიდებისგან და კომპანიებისგან მოზიდული თანხები დაიხარჯოს გრანტების გაცემაზე, რათა ყველა მხარემ დაინახოს თემის განვითარებაში შეტანილი წვლილი. საზოგადოებრივმა ფონდებმა უნდა უზრუნველყონ ღია კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან - საზოგადოება დაარსებიდან უნდა მიაჩვიონ აზრს, რომ შემოწირული თანხის დაახლოებით 10% ორგანიზაციის საოპერაციო ხარჯია, რათა უზრუნველყოფილ იქნას ორგანიზაციის საქმიანობა და მდგრადობა.

4. თემის შეხვედრის და კომუნიკაციის ადგილი

საზოგადოებრივმა ფონდმა თემში პოზიციონირება უნდა მოახდინოს როგორც ერთ-ერთმა ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარემ. ის უნდა იყოს თემის ნაწილი, რომელიც აკავშირებს ადამიანებს, ახალისებს ერთობლივ საქმიანობას და იყენებს საკუთარ რესურსებს ამ აქტივობებისთვის; აერთიანებს ადამიანებს და ამცირებს პოლარიზაციას თემში; რესურსებით უზრუნველყოფს თემის მიერ გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებას; აქვს ნათელი კომუნიკაცია, აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას თემში. ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რეკომენდებულია, საზოგადოებრივ ფონდს ჰქონდეს გარკვეული ფიზიკური ან ონლაინ სივრცე თემის წევრების შეხვედრისა და კომუნიკაციისთვის. ფონდის

გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, თემის წევრებთან პირდაპირი კომუნიკაცია/კონსულტირება, ინფორმაციის მუდმივად შეგროვება თემში არსებული აქტუალური საკითხების, მიმდინარე ინიციატივების, საჭირო და ხელმისაწვდომი რესურსების (იდეები, დრო, ცოდნა-გამოცდილება და სხვა არაფულადი რესურსები) შესახებ. თემის წევრების პირდაპირი ჩართულობა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ნდობის გაღრმავებას, რაც აუცილებელია თემის საერთო პრობლემების ყველაზე ეფექტური გადაჭრისთვის.

5. თემატური მრავალფეროვნება

საზოგადოებრივი ფონდის მუშაობა ფოკუსირდება თემის მიერ გამოკვეთილ სხვადასხვა პრიორიტეტზე. საზოგადოებრივი ფონდების უმეტესობამ მუშაობა დაიწყო პროგრამით, რომელიც მხარს უჭერდა თემატურად შეუზღუდავ ინიციატივებს სხვადასხვა სფეროში. მოგვიანებით, გარკვეული პრიორიტეტული თემები იკვეთებოდა მუშაობის პროცესში (მაგ., საჯარო სივრცეები, განათლება, გარემოს დაცვა, სოციალური მომსახურება, სოფლის განვითარება და ა.შ.), მათგან ნაწილი, თემის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ცალკე პროგრამად. მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტები არ შეიზღუდოს და კარი დარჩეს ღია განსხვავებული პრიორიტეტის (რასაც საზოგადოებრივი ფონდის თემატური პროგრამები არ მოიცავს) დაფინანსებისთვის.

6. გამჭვირვალობა და კარგი მმართველობა

უმნიშვნელოვანესია რომ საზოგადოებრივმა ფონდებმა იმუშაონ გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უმაღლესი სტანდარტით, მუდმივად უზრუნველყონ თემის ჩართულობა და ინფორმირება პრიორიტეტების, მხარდაჭერილი ინიციატივების, მიღწეული შედეგების, მოზიდული თანხების, ხარჯების და სხვა საკითხების შესახებ.

საზოგადოებრივი ფონდებისთვის უმნიშვნელოვანესია ასევე კარგი მმართველობის ორგანოები, განსაკუთრებით დირექტორთა საბჭო და თანამშრომლები. დირექტორთა საბჭოს წევრები უნდა იყვნენ განსაკუთრებით აქტიური, წარმოადგენდნენ თემის სხვადასხვა ჯგუფს და ამართლებდნენ საბჭოში საკუთარ ყოფნას პირადი დროის, იდეების, თანხის და პირადი კონტაქტების ფონდის ინტერესებისთვის გამოყენებით ან/და გაღებით. მათი ძირითადი როლია შექმნან პროგრამები და მოიზიდონ თანხები ფონდისთვის, გააკეთონ საქმიანობის და

გამჭვირვალობის მონიტორინგი, დაიცვან საზოგადოებრივი ფონდის ავტონომია ინდივიდის, ბიზნესის ან რომელიმე ინსტიტუციის მხრიდან გარეშე კონტროლისგან.

7. გრძელვადიანი ხედვა

ყველა თემი იმსახურებს საზოგადოებრივ ფონდს, მაშასადამე მისი შექმნა და განვითარება არ უნდა იყოს დანახული როგორც მოკლევადიანი პროექტი; პირიქით საზოგადოებრივმა ფონდმა უნდა იარსებოს კონკრეტული პროქტის და დამფუძნებლების შემდეგაც. შესაბამისად, საჭიროა ფიქრი გრძელვადიანი პერსპექტივით და ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმვა, რათა შეიქმნას სტაბილური სტრუქტურა და თემის ჩართულობის მექანიზმები, უზრუნველყოფილ იქნას რესურსების შემოდინება, მოქნილობა, გამჭვირვალობა, ავტონომია და განგრძობადობა გრძელვადიანი მიზნის გარშემო. მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებრივი ფონდის ორგანიზაციული მდგრადობა სხვადასხვა ყოველდღიური გამოწვევების მიმართ.

საზოგადოებრივი ფონდის დაარსება ორი ქვეყნის მაგალითზე

რუმინეთი

2005 წელს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ასოციაციამ დაიწყო მუშაობა ხედვაზე, რომლის თანახმადაც თემს თვითონ უნდა შეეძლოს ძალების გაერთიანებით და ჩართულობით პოზიტიური ცვლილებების მოხდენა. 2006 წელს, ალინა პორუმბმა (ARC), გადაწყვიტა დაედგინა, იყო თუ არა ადგილზე არსებული რესურსებით ფონდის შექმნის ინტერესი საზოგადოებაში. პილოტირების ფაზა დაიწყო ტრანსილვანიაში, ძირითადი გზავნილით: „თუ გსურს გააკეთო კარგი, გააკეთე კარგად.“ ოთხ ადგილობრივ ჯგუფთან ერთწლიანი მუშაობის და დისკუსიის შემდეგ, პირველად რუმინეთში, ორი საზოგადოებრივი ფონდი - „Odorheiu Secuiesc“ და „Cluj-Napoca“ დარეგისტრირდა 2007 წლის დეკემბერში და 2008 წლის იანვარში (Association for Community Relations, 2018).

ამის შემდეგ ARC-იმ, გადაწყვიტა შეექმნა ათწლიანი სტრატეგია, რომლის ბოლოსაც რუმინეთში იქნებოდა 14-16 მოქმედი ფონდი. ეს ფონდები უნდა გამხდარიყვნენ აქტიური ფილანტროპიული ცენტრები, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ კერძო დონორების ჩართვას ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებაში და შესაძლებლობების გამოყენებაში.

2009 წელს დაიწყო განვითარების ახალი ფაზა. ARC-მა, გარემოს პარტნიორობის ფონდთან (Environmental Partnership Foundation) და ფონდ PACT-თან თანამშრომლობით, განავითარა საზოგადოებრივი ფონდების მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა. ეროვნული პროგრამის შექმნას ფინანსური მხარდაჭერა გაუწია მოტის ფონდმა (C.S. Mott Foundation), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსორციუმმა (Trust for Civil Society in Central and

„ამ იდეებისგან, დიდი გამბედაობისაგან და ძალისხმევისგან, სურვილისგან რომ ვისწავლოთ და შევქმნათ სიახლეები, ქვეყნის 16 ქალაქში შეიქმნა და განვითარდა საზოგადოებრივი ფონდები. მათ განავითარეს პროგრამები, რომლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას შეჰქონდა წვლილი თანხის, დროის, იდეების და ექსპერტიზის სახით. ამ პროგრამებმა შექმნა ჩარჩო, სადაც თემი არა მხოლოდ სახელია, არამედ ძალების გაერთიანების გზაა, რათა თვითონ განსაზღვროს მომავალი.“

ალინა პორუმბი, ARC-ს საზოგადოებრივი ფონდების პროგრამის დირექტორი, 2007-2016

Eastern Europe) და რუმინულ ამერიკულმა ფონდმა (the Romanian-American Foundation). ეროვნული პროგრამის დიზაინში ასევე გაითვალისწინეს ქვეყანაში არსებული ორი საზოგადოებრივი ფონდის - „Odorheiu Secuiesc“ და „Cluj-Napoca“ გამოცდილება.

საზოგადოებრივი ფონდების შექმნის მეორე კამპანია უკვე მიმართული იყო ადამიანებისკენ „რომლებსაც უნდოდათ რომ კარგის კეთება გამხდარიყო მათი ცხოვრების სტილი.“ კარგი საქმის კეთებას თემის წევრების აქტიური ჩართულობით შეუძლია გრძელვადიანი შედეგების მოტანა, მაშინ როცა ადამიანებს აქვთ მაღალი მოტივაცია, სწავლობენ და ითვალისწინებენ სხვის და მათივე გამოცდილებას.

ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ საზოგადოებრივ ფონდს ჰქონდეს მართვის ხარისხიანი და ქმედითი სისტემა. საზოგადოებრივმა ფონდმა თავისი აქტივობით უნდა შექმნას ადგილობრივი ინიციატივების განმახორციელებლებისთვის პოზოტიური გამოცდილება, რათა მათ ჰქონდეთ ამ გამოცდილების გამეორების მოტივაცია.

2010-2012 წლებში რუმინეთში დამატებით 6 ახალი საზოგადოებრივი ფონდი შეიქმნა.

ადგილობრივი მოსახლეობის რეაქციამ და ქმედებებმა, აჩვენა რომ საზოგადოებრივი ფონდები თემის განუყოფელი ნაწილია. 2012 წელს პირველმა ოთხმა საზოგადოებრივმა ფონდმა შექმნა ფედერაცია ძალების და გამოცდილების გაერთიანების მიზნით. რუმინეთის საზოგადოებრივი ფონდების ფედერაცია შეიქმნა როგორც პლატფორმა, რომელიც ეროვნულ დონეზე წარმოადგენს საზოგადოებრივ ფონდებს და ავითარებს ფილანტროპიას ქვეყნის მასშტაბით.

მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის ყველა საზოგადოებრივმა ფონდმა მსგავსი გზა განვლო, მათი შექმნის და განვითარების სპეციფიკა მაინც განსხვავებულია. ქალაქ იაშში ფონდის შექმნის იდეა წარმოიშვა ინტერნეტ სივრცეში, როდესაც ადამიანები გაერთიანდნენ იდეით რესტავრაცია გაეკეთებინათ ქალაქში არსებული სხვადასხვა ისტორიული შენობისთვის. მათი მიზანი იყო ამ იდეის გარშემო ადამიანების და რესურსების მობილიზება. საზოგადოებრივი ფონდის კონცეფციის პოპულარიზაციის და თანხების მოზიდვის ორწლიანი ძალისხმევის შედეგად, ჯგუფმა გააერთიანა 16

ადამიანი, ოთხი საგანმანათლებლო და კულტურაში მოღვაწე ორგანიზაცია და ერთი კერძო კომპანია.

საზოგადოებრივი ფონდი „Țara Făgărașului“ შეიქმნა გაცილებით სწრაფად. ამ მცირე ზომის თემმა 24 ადამიანის და საზოგადოებრივი ფონდის შექმნისთვის საჭირო რესურსების მობილიზება ორ თვეში მოახერხა. მათ ორგანიზება გაუკეთეს სამ ღონისძიებას, რამაც დაამტკიცა - მცირე ზომის მიუხედავად, თემს შეუძლია გამონახოს ცვლილებისთვის საჭირო რესურსი და სურვილი. ფონდი ოფიციალურად დარეგისტრირდა 2013 წელს. ამავე წელს საზოგადოებრივი ფონდების განვითარების ეროვნული პროგრამა ახალ ფაზაში შევიდა. აღნიშნული ფაზა გულისხმობდა ARC-ს და საზოგადოებრივი ფონდების ფედერაციას შორის სტრატეგიულ პარტნიორობას. 2013 წელსვე გაორმაგდა ფონდების მიერ გრანტის სახით გაცემული თანხა, მათ დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის თამაში ადგილობრივ დონეზე ჩართულობით განვითარებაში. 2014 წელს ARC-მ, ფედერაციამ და თორმეტმა საზოგადოებრივმა ფონდმა დაისახა საერთო მიზანი 2019 წლისთვის რუმინეთში ყოფილიყო 20 საზოგადოებრივი ფონდი, რომელიც რუმინეთის მოსახლეობის 50%-ს მოემსახურებოდა.

> „მე მჯერა რომ ნდობა არის სოციალური წებო, რომელიც სჭირდება თემის წევრებს, რათა თემს დაერქვას სახლი. საზოგადოებრივი ფონდის მიზანია გარდაქმნას ეს არსებითი სახელი ზმნად, შთააგონოს და დაეხმაროს თემში მცხოვრებ ადამიანებს აშენონ ერთად, თემში არსებული რესურსების გამოყენებით.“
>
> რუქსანდრა პოპი, ARC-ს საზოგადოებრივი ფონდების პროგრამის დირექტორი

2015 წელს სამი თემი (Galați, Brașov, Dâmbovița), ხოლო 2016-ში რუმინეთის სიდიდით მესამე ქალაქი (Timișoara) შეუერთდა მოძრაობას.

ბოლო ათწლეულის მანძილზე რუმინეთში სამოქალაქო სექტორი მნიშვნელოვნად განვითარდა. ადამიანები უფრო აქტიურად ერთვებიან საქველმოქმედო-ფილანტროპიულ აქტივობებში. საზოგადოებრივი ფონდები მუშაობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად - ჩართული, ძლიერი და აქტიური თემებისთვის.

უნგრეთი

პირველმა საზოგადოებრივმა ფონდმა - „ფერენცვარუშის ფონდი“ უნგრეთში მუშაობა დაიწყო 2011 წელს. აღნიშნული ფონდი შეიქმნა ბუდაპეშტის ერთ-ერთ უბანში, რომელიც გამოირჩეოდა ეკონომიკური შესაძლებლობებით (მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 60000). ამ ფონდის საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში გაჩნდა სურვილი, რომ უნგრეთის სხვადასხვა რეგიონში შექმნილიყო მეტი საზოგადოებრივი ფონდი. ახალი საზოგადოებრივი ფონდების განვითარების ხელშეწყობისთვის, რობერტ მოტის ფონდის დაფინანსებით 2014 წელს შეიქმნა Roots

and Wings ფონდი, რომელიც ქვეყანაში მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ფონდების მხარდამჭერი ორგანიზაცია.

2014-2016 წლებში, ფონდმა Roots and Wings (ფესვები და ფრთები), განახორციელა საზოგადოებრივი ფონდების განვითარების ორწლიანი პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ფინანსური მხარდაჭერის და შესაძლებლობების განვითარების მიმართულებას. ეტაპები და ვადები იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა N1: საზოგადოებრივი ფონდების მხარდაჭერის პროგრამის ტრაექტორია უნგრეთში[1]

მიზნობრივი ლოკაციის და ჯგუფის შერჩევისას ითვალისწინებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- თანხას ადგილზე უნდა აგროვებდეს კარგი და თემისთვის სანდო ჯგუფი;
- ძირითადი წამყვანი უნდა იყოს დირექტორთა საბჭო, რომელიც არის მრავალფეროვანი, ძლიერი და მოტივირებული (საბჭოში არ ჰყავთ თვითმმართველობის წარმომადგენელი, რადგან ეს ამცირებს ნდობას და ქმნის რისკს, რომ ფონდი სამთავრობო დანამატად იქნება აღქმული);
- თემში მოსახლეობის რაოდენობა არ უნდა იყოს 50 000-ზე ნაკლები;
- თემში უნდა იყოს გარკვეული ეკონომიკური აქტივობა და პოტენციალი;
- თემის წევრებს უნდა ჰქონდეთ თემის მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობა;
- საინიციატივო ჯგუფს უნდა უნდოდეს ძირითადად გრანტების გამცემი ორგანიზაციის შექმნა.

[1] წყარო: https://www.alliancemagazine.org/blog/hungarian-community-foundations-turning-point/

Roots & Wings ფონდის მიერ მხარდაჭერილ თითოეულ მიზნობრივ საზოგადოებრივ ფონდს ყავს მენტორი R&W-ში. იგი საზოგადოებრივი ფონდების დახმარებას გეგმავს და ახორციელებს სამი ძირითადი მიმართულებით:

- **პროფესიული მხარდაჭერა**: ქოუჩინგი და ტრენინგები, ექსპერტების დახმარება სხვადასხვა საკითხებზე. პროფესიული კონსულტაციის თემაა: მართვა, ფონდების მოძიება, ფილანტროპია და სხვა.
- **ფინანსური მხარდაჭერა**: თითო საზოგადოებრივ ფონდს R&W ეხმარება 5000 ევროს გრანტით, ოპერაციული ხარჯების დასაფარად.
- **ქსელური ურთიერთობების და ეროვნული მოძრაობის ხელშეწყობა**: ამ მიმართულებით მუშაობისას, R&W ეხმარება საზოგადოებრივ ფონდებს უნგრეთში და უცხოეთში არსებულ ფონდებთან ქსელური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში.

რაც მთავარია, საზოგადოებრივ ფონდთან მუშაობა არ გავს კლასიკური დონორის და გრანტის მიმღების ურთიერთობას. მიდგომა ჩართულობითი, მხარდამჭერი და თანამშრომლობითია.
თითოეულ საზოგადოებრივ ფონდთან მუშაობა სამ ფაზას/ეტაპს მოიცავს:

I ეტაპი - შექმნა/რეგისტრირება/Setup/

საინიციატივო ჯგუფი რეგისტრირდება ფონდად, ამის შემდეგ R&W აფინანსებს 5000 ევროს ოდენობის ე.წ. გამოწვევის გრანტით (Challenge grant), რომელსაც ჯგუფი იღებს მხოლოდ მას მერე რაც ადგილზე ზუსტად ამდენივე თანხის მობილიზებას შეძლებს. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივების ნდობაზე მუშაობა და მათი მყარი ნდობის მოპოვება. საზოგადოებრივი ფონდის სანდოობაზეა დამოკიდებული მისი საქმიანობის მდგრადობაც. მიღებულ გრანტს საზოგადოებრივი ფონდი ვერ გამოიყენებს გრანტებად გაცემისთვის, მისი მიზნობრიობა, მხოლოდ ორგანიზაციის საოპერაციო ხარჯების დაფარვაა. ეს ეტაპი შესაძლოა 15 თვე გაგრძელდეს.

II ეტაპი- განვითარება /Establishement/

საზოგადოებრივი ფონდის წლიური გეგმის დაფინანსება ხდება 5000 ევროს ოდენობის გრანტით, რაც ისევ საოპერაციო ხარჯს და საქმიანობებს ხმარდება და არა ქვეგრანტირებას. ქვეგრანტირებაზე ხარჯავენ, მხოლოდ მათივე სამიზნე გეოგრაფიულ არეალში მოზიდულ რესურს. ეს ფაზა გრძელდება დაახლოებით 12 თვე.

III ეტაპი – ზრდასრული ფაზა /Mature Phase/

ამის შემდეგ დგება შეფასების ფაზა და შემდეგ წყდება აფინანსებენ თუ არა შემდეგ ორ წელს. მესამე ფაზაში უკვე ფორმდება ორწლიანი კონტრაქტი და ყოველწლიურად ირიცხება 5-5 ათასი ევრო (ჯამში 10000). მეორე ეტაპიდან საზოგადოებრივ ფონდებს აღარ აქვთ ადგილობრივი თანხების მოზიდვის მკაცრად განსაზღვრული ვალდებულება ამ პროექტის ფარგლებში, მაგრამ მაინც უნდა შეაგროვონ, რადგან ეს არის სათემო ორგანიზაციის ძირითადი შემადგენელი. ეს ფაზა შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს.

სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დინამიკა საქართველოში

დემოგრაფია და მიგრაცია

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად მცირდება. კერძოდ, თუ 2010 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ეს რიცხვი 3 799 832 იყო, 2020 წლის პირველ იანვარს, მათი რაოდენობა 3 716 858-ს შეადგენს. 2000 წელთან შედარებით კი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 400 000-ით არის შემცირებული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

მოსახლეობის ჯამურ მაჩვენებელთან ერთად ასევე იცვლება მიგრაციის მაჩვენებელი. კერძოდ, 2019 წელს საქართველოს მიგრაციულმა უარყოფითმა სალდომ[2] შეადგინა 8 243 ადამიანი. საყურადღებოა შემოსული და გასული მოსახლეობის ანალიზი მოქალაქეობის მიხედვით. საქართველოს 81 978-მა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა, მაშინ როდესაც ამავე წელს დაბრუნებულ მოქალაქეთა რიცხვი სულ 54 478-ია. შესაბამისად, მიგრაციის უარყოფითმა სალდომ შეადგინა 27 500. ამავე წელს ქვეყანაში შემოსული და გასული სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მიგრაციის სალდო დადებითი 19 257-ია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, 42 386 უცხოეთის მოქალაქე შემოვიდა და 23 129 გავიდა საქართველოდან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

სიღარიბე, კეთილდღეობა და შემოსავლების განაწილება

2010 წლიდან 2019 წლამდე, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებით 19 286.4 მილიონი ლარიდან 43 137.8 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

2020 წლის დეკემბერში, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი განისაზღვრა 170.5 ლარით. ოჯახების მიხედვით კი საარსებო მინიმუმი 2020 წლის ნოემბერში შეადგენდა: ერთსულიანი ოჯახისთვის - 167.9 ლარს[3], ორსულიანი ოჯახისთვის - 268.6 ლარს, სამსულიანი ოჯახისთვის 302.2 ლარს, ოთხსულიანი ოჯახისთვის 335.7 ლარს, ხუთსულიანი ოჯახისთვის 377.7 ლარს და ექვსსულიანი ოჯახისთვის 446.5 ლარს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

2019 წლის საშუალო თვიურმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 336.1 ლარი. მიუხედავად იმისა რომ შემოსავალი ლარში ერთ სულ მოსახლეზე ნელა მაგრამ სტაბილურად მზარდია, ეროვნული ბანკის კურსით შემოსავლების შედარება დოლარში განსხვავებულ რეალობას გვაჩვენებს. 2012 წლის საშუალო თვიური შემოსავალი დოლარში შეადგენდა $135-ს, ხოლო 2019 წელს კი $119.08-ს[4] (შემცირებულია $16.08-ით). განსხვავებულია ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიური შემოსავლის გადანაწილება სოფლის და ქალაქის ტიპის მოსახლეობას შორის. ქალაქის ტიპის დასახლებისთვის ყოველთვიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 2019 წელს შეადგენს 360.9 ლარს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებისთვის კი 301.6

[2] ქვეყანაში შემოსული და გასული ადამიანების სხვაობა. მიგრაციული სალდო უარყოფითია თუ ქვეყანაში შემოსული ადამიანების რაოდენობა ნაკლებია ქვეყნიდან გასულ მოსახლეობაზე.

[3] იგივეა რაც 2020 წლის ნოემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი.

[4] ორივე შემთხვევაში, კურსის დაანგარიშებისთვის აღებულია წლის 2 (1$=1.6443 ლარი) და 3 (1$=2.8225 ლარი) ივლისის კურსი.

ლარს. წლების განმავლობაში მზარდია თითო ოჯახზე საშუალო თვიური შემოსავალი, რომელმაც 2019 წელს 1175.3 ლარი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ქალაქის ტიპის დასახლებისთვის ეს ციფრი შეადგენს 1232.3 ლარს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებისთვის კი 1091.5 ლარს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

2019 წლის მონაცემებით მოსახლეობის 19.5% ცხოვრობს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით. ამ მაჩვენებელშიც მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალაქის და სოფლის ტიპის მოსახლეობას შორის. ქალაქის მოსახლეობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 16.4%-ია, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 23.7% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

აქვე უნდა ითქვას რომ, 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, 330 943 ოჯახი რეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში. ოჯახების განაწილება შეფასების მიხედვით კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე: რაც უფრო დაბალია ქულა, მით უფრო მეტად ღარიბია ოჯახი (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2021).

დიაგრამა N 2 მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების განაწილება შეფასების ქულების მიხედვით



სიღარიბის მასშტაბების სრული სურათის დასანახად ასევე მნიშვნელოვანია საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების და მოსახლეობის რაოდენობა. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღებია 146 619 ოჯახი და 524 598 ადამიანი, რაც ოჯახების 13.8% და მოსახლეობის 14.1%-ს შეადგენს.

ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები - ზოგადი სტატისტიკა

2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია სულ 802 466 სუბიექტი, რომელთაგან აქტიურია 195 867. აქტიური სუბიექტებიდან 77 388 კომერციული იურიდიული პირია, 111 060 ინდივიდუალური მეწარმე, 3774

არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, 2662 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო 993 სხვა.

აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა შორის აქტიურია მხოლოდ 13%, მაშინ როცა კომერციულ იურიდიულ პირებში 26.4%-ია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

ცხრილი N1 რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების რაოდენობა 2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
	სუბიექტთა რაოდენობა	**სუბიექტთა რაოდენობა**
სულ	**802466**	**195877**
კომერციული იურიდიული პირები	293186	77388
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	281882	76108
სააქციო საზოგადოება	2898	881
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2756	184
კომანდიტური საზოგადოება	187	18
კოოპერატივი	5463	197
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	28938	3774
ინდივიდუალური მეწარმე	468436	111060
სხვა	6042	993
საჯარო სამართლის სუბიექტები	5864	2662

ყოველწლიურად მზარდია ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა, რომელმაც 2019 წელს 109 024.3 მილიონი ლარი შეადგინა[5]. იურიდიული ფორმების მიხედვით ბრუნვის მოცულობაში ლიდერობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 93 164.4 მილიონი ლარით, შემდეგ მოდის სააქციო საზოგადოება 9 303 მილიონი ლარით, შემდეგ კი ინდივიდუალური მეწარმეები 4 2011.1 მილიონი ლარით.

[5] 2020 წლის წლიური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა ამ წლის სამ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ჯამი 77 556.2 მილიონ ლარს შეადგენს.

დიაგრამა N 3 ბიზნეს სექტორის წლიური ბრუნვის მოცულობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, 2019 წ.



ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2008 წლიდან სტაბილურად მზარდია. 2019 წელს აღნიშნულმა რიცხვმა ქვეყნის მასშტაბით შეადგინა 756.9 ათასი ადამიანი. თუმცა 2020 შეიმჩნევა კლების ტენდენცია, რომელიც სავარაუდოდ COVID19-ს და მასთან დაკავშირებულ რეგულაციებს უკავშირდება.

დიაგრამა N4 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი



განსხვავებული მდგომარეობა და ტენდენციაა არასამეწარმეო სუბიექტებში.

საქართველოს მასშტაბით, არაკომერციული ორგანიზაციების წლიური ბრუნვა 2012 წლიდან 2014 წლამდე შემცირდა დაახლოებით 103 მილიონი ლარით. შემდეგ

წლებში შეიმჩნევა ბრუნვის ზრდა, თუმცა 2019 წლის მაჩვენებელი 169 691.3 ათასი ლარია, რაც დაახლოებით 29 მილიონი ლარით ჩამორჩება 2012 წლის მაჩვენებელს.

დიაგრამა N5 არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვა წლების მიხედვით (ათასი ლარი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წლიდან 2014 წლამდე არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა მკვეთრად მცირდებოდა. 2014 წლიდან 2019 წლამდე კი ეს ციფრი მზარდია, თუმცა 2012 წლის მაჩვენებელს თითქმის 28500-ით ჩამორჩება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

დიაგრამა N6 არაკომერციული ორგანიზაციების დასაქმებულთა და დაქირავებულთა მაჩვენებლები, 2012-2019 წლები



სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და დინამიკა თელავში და ლაგოდეხში

დემოგრაფია

2020 წლის პირველი იანვრის მონაცემებით კახეთის მოსახლეობამ სულ 310 051 შეადგინა. როგორც ქვეყნის, ისე კახეთის მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, 318 839-თან შედარებით ეს რიცხვი 8788-ით არის შემცირებული (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

იგივე ტენდენცია შეიმჩნევა თელავის და ლაგოდეხის მოსახლეობის შემთხვევაშიც.

2015 წელს თელავის და თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა ჯამში 58 146 ადამიანს, აქედან 19 788 ქ. თელავის მოსახლეობა იყო, ხოლო 38 358 მუნიციპალიტეტის. 2020 წლის პირველი იანვრის მონაცემებით კი თელავის მუნიციპალიტეტში (სადაც შესულია ქ. თელავის მონაცემიც) მოსახლეობის ჯამური რაოდენობა შეადგენს 55 272-ს, მათ შორის 19 599 ქ. თელავის მოსახლეა და 35 673 მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2015 წელს სულ მოსახლეობის რაოდენობა 41 694-ს შეადგენდა. აქედან ლაგოდეხში ცხოვრობდა 5 932, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში 35 762. 2020 წლის პირველ იანვარს კი მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სულ 41 125 ადამიანი, მათ შორის 5 714 ქ. ლაგოდეხში, ხოლო 35 411 მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

ცხრილი N2 თელავის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა, 2015 და 2020 წლის პირველი იანვრის მონაცემებით (ათასი მოსახლე)

რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, დაბა	2015			2020		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
კახეთი	**318.8**	**72.0**	**246.9**	**310.1**	**70.7**	**239.4**
ქ. თელავი	19.8	19.8				
თელავის მუნიციპალიტეტი	38.4		38.4	55.3	19.6	35.7
ქ. თელავი				19.6	19.6	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	41.7	5.9	35.8	41.1	5.7	35.4
ქ. ლაგოდეხი	5.9	5.9		5.7	5.7	

სიღარიბე, კეთილდღეობა და შემოსავლების განაწილება

როგორც მთლიანად საქართველოს მასშტაბით, კახეთის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი 2010 წლიდან გაიზარდა და 2019 წელს 2 187.6 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული მშპ-ს დარგების მიხედვით გადანაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, რეგიონის მშპ-ს დაახლოებით 37% (808 მლნ. ლარი) მოდის სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე. შემდეგ ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა რეგიონული მშპ-ს დაახლოებით 10%-ით.

ცხრილი N3 კახეთში მშპ-ს განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, 2019 წელი (მლნ. ლარი)

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	**2019**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	808.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	29.3
დამამუშავებელი მრეწველობა	214.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	49.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	17.2
მშენებლობა	50.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	123.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	9.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	60.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	45.5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	102.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	178.3
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	34.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18.5
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	148.5
განათლება	148.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	81.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	50.9
სხვა სახის მომსახურება	15.2
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	2.0
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში	**2,187.6**

2010 წლიდან 2019 წლამდე რეგიონში ასევე გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც, 104.8 ათასიდან 109.1 ათასამდე.

2020 წლის დეკემბერში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა კახეთში 14 487-ია, ხოლო მიმღები მოსახლეობის რაოდენობა კი 53 937. აქედან 2 343 ოჯახი (928 ქ. თელავში და 1 415 სოფლებში) და 7911 (2 473 ქ. თელავში და 5 438 სოფლებში) მოსახლე თელავშია ხოლო 2 095 ოჯახი და 8 660 მოსახლე ლაგოდეხში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ლაგოდეხში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და 20.8%-ს შეადგენს.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში თელავის მუნიციპალიტეტში 5 136 ოჯახია რეგისტრირებული, ხოლო ლაგოდეხში 5 741. ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობების განაწილება, ქულების და მუნიციპალიტეტის მიხედვით კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.

*დიაგრამა N7 *მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა მდებარეობის მიხედვით, 2020 წლის დეკემბერი*



ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები - ზოგადი სტატისტიკა

2014 წლიდან 2019 წლამდე თელავსა და ლაგოდეხში, ისევე როგორც მთლიანად კახეთში, გაზრდილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებელი. 2014 წელს თელავში აღნიშნული რიცხვი იყო 444 მილიონი ლარი, 2019 წელს კი ბრუნვამ 764.7 მილიონს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მზარდია ლაგოდეხშიც, 2014 წელს 53.1 მილიონი ლარიდან 2019 წელს, 107.4 მილიონ ლარამდე გაიზარდა, თელავის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უსწრებს ლაგოდეხისას (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

2021 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებული 802 466-დან კახეთში რეგისტრირებულია 48 828 სუბიექტი.[6] ქვეყანაში აქტიური 195 877 სუბიექტიდან კი, 11 998 კახეთშია. შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების დაახლოებით 6% კახეთის რეგიონზე მოდის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

2021 წლის 1 თებერვლის მონაცემებით თელავში აქტიური ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 3 088-ს, ლაგოდეხში კი მათი რაოდენობა 1 134-ია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

კახეთის რეგიონის მასშტაბით, 2010 წლიდან 2019 წლამდე გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 14 699-დან 24 619-მდე. 2019 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთაგან, 9 889 თელავშია დასაქმებული, ხოლო 1 645 ლაგოდეხში. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის წლების მიხედვით დინამიკა იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021).

დიაგრამა N8 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა თელავსა და ლაგოდეხში, წლების მიხედვით



[6] იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სუბიექტი: კომერციული იურიდიული პირები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ინდივიდუალური მეწარმე, საჯარო სამართლის სუბიექტები და სხვა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით, თელავში მოქმედებს სულ 46 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მათ შორის 40 არასამთავრობო და 6 სათემო ორგანიზაცია. იგივე მონაცემთა ბაზის მიხედვით, ლაგოდეხში მოქმედებს სულ 9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მათ შორის 4 არასამთავრობო და 5 სათემო ორგანიზაცია.

იგივე მონაცემთა ბაზის მიხედვით, მსგავსი მდგომარეობაა აღნიშნულ ორ მუნიციპალიტეტში მედია ორგანიზაციების თვალსაზრისით. თელავში მოქმედებს 11 მედია ორგანიზაცია, ხოლო ლაგოდეხში 2.

ნაწილი II: საველე კვლევის ანგარიში

კვლევის მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგია

საველე ანუ თვისებრივი კვლევის მიზანია იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ფონდის განვითარებაზე კვლევის სამიზნე, თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში.

კვლევის ძირითადი მიზნის მისაღწევად, საკვლევი საკითხები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- სამიზნე მუნიციპალიტეტების ძირითადი რესურსებისა და გამოწვევების გამოვლენა და მათი ანალიზი საზოგადოებრივი ფონდის განვითარებასთან მიმართებით;
- საზოგადოებრივი ფონდის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მზადყოფნის დადგენა შერჩეულ ორ მუნიციპალიტეტში, მთავარი მხარდამჭერების გამოვლენა შერჩეულ თემებში;
- საზოგადოებრივი ფონდის მუშაობის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა;
- საზოგადოებრივი ფონდის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ეფექტური გზების განსაზღვრა;
- საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივ თემში ნდობისა და მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარებისთვის საჭირო მექანიზმების განსაზღვრა.

კვლევის მონაწილეები შეირჩნენ შემდეგი სამიზნე ჯგუფებიდან:

1. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
2. აქტიური ახალგაზრდები;
3. საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლები;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;
5. ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები;
6. ემიგრანტები.

კვლევა დაეყრდნო თვისობრივ მეთოდებს, კერძოდ, გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები. COVID-19 პანდემიის გამო, კვლევის მონაცემები დისტანციურად შეგროვდა - ჩატარდება სატელეფონო ინტერვიუები, ხოლო ფოკუს ჯგუფები ჩატარდა Messenger-ისა და Zoom-ის პლატფორმების გამოყენებით. თელავში ჩატარდა 12 ინტერვიუ და 5 ფოკუს ჯგუფი (16

მონაწილე); ლაგოდეხში ჩატარდა 10 ინტერვიუ და 5 ფოკუს ჯგუფი (23 მონაწილე) - სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 61 რესპონდენტმა. კვლევის მონაცემების დამუშავებისას გამოიყენეს თემატური ანალიზი. საველე სამუშაოების დეტალები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მუნიციპალიტეტი	თელავი	ლაგოდეხი
ფოკუს ჯგუფი	5	5
ინტერვიუ	12	10
სულ მონაწილეთა რაოდენობა	28	33

კვლევის მონაცემების ანალიზი

სამიზნე მუნიციპალიტეტების ძირითადი რესურსები და გამოწვევები

საზოგადოებრივი ფონდის მუშაობა კარგად უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი თემის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. იქიდან გამომდინარე, რომ ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტი ერთ მხარეს ეკუთვნის, გასაკვირი არ არის, რომ კვლევის ფარგლებში ძალიან ბევრი მსგავსი თემა გამოიკვეთა როგორც რესურსების, ისე გამოწვევების თვალსაზრისით.

ორივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, კვლევის მონაწილეებმა განსაკუთრებული აქცენტი ***თელავსა და ლაგოდეხში ტურიზმის განვითარებაზე გააკეთეს.*** როგორც თელავს, ისე ლაგოდეხს, მისთვის დამახასიათებელი ღირსშესანიშნაობები და რესურსები გააჩნია ამ მიმართულებით, რაც ნაწილობრივ ათვისებულია; თუმცა, მეტი წარმატებისთვის უკეთ ათვისებაც შესაძლებელია. ტურისტებისთვის თელავის მიმზიდველობა უკავშირდება მისი სამეფო ქალაქის ტიტულს - როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის საინტერესო ადგილს წარმოადგენს ერეკლე მეფის სასახლე. ლაგოდეხის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს ლაგოდეხის ნაკრძალი, ცნობილი თავისი ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და სილამაზით; თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ორივე შემთხვევაში ბუნებრივი და ისტორიული რესურსები ბოლომდე არ არის ათვისებული ტურისტული მიმართულების მეტად განვითარებისთვის; ლაგოდეხელმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უკეთესად შეიძლება ნაკრძალის შესაძლებლობების გამოყენება - ***„დიდი ხანია საუბარია ნაკრძალში ხის კენწეროების ხიდების გაკეთების შესახებ, ტურისტებისთვის ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა“*** *(ფოკუს*

ჯგუფის მონაწილე, ლაგოდეხი). კვლევის მონაწილეები ტურიზმის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ტურისტებს ადგილებზე მეტი დროით გაჩერების სურვილს გაუღვიძებს, რაც, რეალურად, ნაკლებად ხდება. კვლევის რესპონდენტები თელავს მოიაზრებენ კახეთის მხარეში ტურიზმის ჰაბად *„თელავი თუშეთის გზაზე არის ერთადერთი სერიოზული, მნიშვნელოვანი ცენტრი, მაგრამ წებო არ აქვს, რომ ტურისტი აქაურობას „დააწებოს“ - ტურისტი ჩამოვა, ჭადარს ნახავს, მეფის სასახლეს ნახავს და ეგრევე მიდის, აქაურობას არ აქვს „წებო“, რომელიც ტურისტს აქაურობას დააწებებს“ (ინტერვიუს მონაწილე, თელავი).* ორივე ადგილს კარგი შესაძლებლობა აქვს აგრო-ტურიზმის განვითარებისთვის. რესპონდენტების აზრით, ტურიზმის უკეთ განვითარებას ხელს უშლის მთელი რიგი პრობლემები, როგორიცაა მაგალითად, მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა, მოუწესრიგებელი წყლის მომარაგების სისტემა, ქალაქის იერსახე - *„შეიძლება ქალაქი უფრო კოპწიად და მოწესრიგებულად გამოიყურებოდეს...“*, თელავის შემთხვევაში დასახელებული იყო მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, რომელიც ზოგჯერ საფრთხეს უქმნის, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე ტურისტებს.

კვლევის მონაწილეების აზრით, თელავსა და ლაგოდეხში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ისეთი ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა უმუშევრობა და ახალგაზრდების მიგრაცია. ახალგაზრდების, „ტვინების“ გადინება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც თელავისთვის, ისე ლაგოდეხისთვის. ამ პრობლემას კვლევის მონაწილეები უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ არც თელავში და არც ლაგოდეხში შექმნილი არ არის ახალგაზრდებისთვის საჭირო, კეთილგანწყობილი გარემო *„როცა კინო არ გაქვს, როცა თეატრი გაქვს, სადაც სეზონზე ჰა-ჰა სამი სპექტაკლი დაიდგას, როცა მუნიციპალური ტრანსპორტი არ გაქვს, ძალიან რთულია ახლგაზრდებისთვის გაჩერება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).* როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, თელავში ახალგაზრდებისთვის საინტერესო აქტივობების დანერგვის არაერთი მცდელობა იყო, თუმცა *„ვერაფერმა იმუშავა, ქალაქი ექვსი საათის შემდეგ მკვდარია, საღამოს რაც არ უნდა გააკეთო, არ იმუშავებს, რადგან ტრანსპორტი არ არის, ასე რომ ვინც რა არ უნდა გააკეთოს, ტრანსპორტი თუ არ იქნება, არაფერი გამოვა“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).* ახალგაზრდების მიგრაცია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი დამსაქმებლებისთვის - *„ამდენი უმუშევარია, მაგრამ საჭირო კადრს ვერ ნახავ სანთლით რომ ეძებო“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).* კვლევის მონაწილეებმა თელავისა და ლაგოდეხის ახალგაზრდები ამ მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ინტელექტუალურ

რესურსად დაასახელეს; მიაჩნიათ, რომ ეს რესურსი სათანადოდ არ არის ათვისებული - ***„ახალგაზრდების ინტელექტუალური რესურსი შეიძლება კარგად იყოს გამოყენებული თელავის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ადამიანებს აქვთ იდეები, არიან ახალგაზრდები, ვისაც შეუძლია იდეების გარშემო ადამიანების მობილიზაცია, მაგრამ მათ თვალი აქედან წასვლაზე უჭირავთ" (ინტერვიუს , თელავი).***

თელავში ახალგაზრდების ადგილზე გაჩერების ერთ-ერთ საუკეთესო გზად რესპონდენტებს მიაჩნიათ ***თელავის საუნივერსიტეტო ქალაქად ჩამოყალიბება.*** კვლევის მონაწილეების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ თელავში უნივერსიტეტის არსებობა სათანადოდ არ არის გამოყენებული ***„თელავის უნივერსიტეტი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან რესურსს, რომელმაც თელავი საუნივერსიტეტო ქალაქად უნდა აქციოს, რადგან ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი კახეთის რეგიონში, ეს რესურსი სათანადოდ არ არის ათვისებული. ამ რესურსით თელავი განათლების ჰაბი უნდა იყოს კახეთის რეგიონში, უნდა შექმნას ახალგაზრდებისთვის კეთილგანწყობილი გარემო, რომ ადგილობრივ ახალგაზრდებს მეტად შეეძლოთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და არ მოუწიოთ ამ ადგილის დატოვება" (ინტერვიუს მონაწილე, თელავი).***

თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების განვითარებაში კვლევის მონაწილეები დიდ როლს აკისრებენ ტრადიციული ***მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებას,*** რაც მჭიდროდ უკავშირდება ტურიზმის განვითარებას. თუმცა, ასევე დიდ პერსპექტივას ხედავენ სოფლის მეურნეობის ნაკლებად ტრადიციული მიმართულების განვითარებაში, როგორიცაა კენკროვანი კულტურების, ზეთისხილის მოყვანა; ასევე, სხვადასხვა სახის ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა, რომელიც ამ მხარის განსაკუთრებული ჰავის წყალობით კარგად მოდის - ***„ლაგოდეხში სამი მოსავალი მოდის, ზოგჯერ ისეთი უხვი მოსავალი მოდის, ხალხს დაბინავება უჭირს" (ინტერვიუს რესპონდენტი, ლაგოდეხი).*** ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ ფერმერების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, სწორად არ იყენებენ პესტიციდებს, რის შედეგად ბინძურდება ნიადაგი. კვლევაში მონაწილე ფერმერების აზრით, ლაგოდეხში ბიო-მეურნეობის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ლაგოდეხსა და თელავში სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ არ არის განვითარებული სამაცივრე, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების მეურნეობა.

სოფლის მეურნეობაში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სწორად არ იყენებენ წყლის რესურსს - ***„ბევრი წყალი იკარგება, ტყუილა იღვრება და აჭაობებს გარემოს.“*** ლაგოდეხში, ზოგადად, მდინარეების ადიდებით შექმნილი პრობლემები დღემდე გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

კვლევის მონაწილეთა აზრით, უკეთ უნდა იყოს გათვალისწინებული ***ლაგოდეხის საზღვრისპირა მდებარეობა,*** რომელიც ერთდროულად შესაძლებლობასა და გამოწვევას წარმოადგენს. ლაგოდეხის საზღვრისპირა მდებარეობის უკეთ გამოყენება შეიძლება ტურიზმის სფეროში - აზერბაიჯანელი ტურისტების მეტად მოსაზიდად; თუმცა, საზღვრისპირა მდებარეობა გარკვეულ გამოწვევას ქმნის ადგილობრივ მოსახლეობაში ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებასთან დაკავშირებით; შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლაგოდეხის ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მათთვის სავსე და საინტერესო ცხოვრების შესაძლებლობის შექმნას. თუმცა, როგორც ლაგოდეხში, ისე თელავში მნიშნველოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ვერ პოულობს საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი ფონდის განვითარებაში ადგილობრივი თემის ჩართულობა

საზოგადოებრივი ფონდის მუშაობის ეფექტურობასა და მდგრადობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თემის მონაწილეობას. ამ უკანასკნელს კი დიდწილად განაპირობებს ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული სამოქალაქო აქტივიზმის დონე, ქველმოქმედებისა და მეცენატობის მიმართულებით საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ადგილობრივი ბიზნესის მიერ გადადგმული ნაბიჯები.

კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო აქტივიზმი, როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში საკმაოდ დაბალია. მოსახლეობის მობილიზაცია ხშირად ისეთი პრობლემების გარშემოც კი რთულია, რომლებიც პირადად მათ ეხებათ. ამის მაგალითად ერთ-ერთმა რესპონდენტმა მოიყვანა თელავში წყლის პრობლემასთან დაკავშირებით მოსახლეობის საპროტესტო აქციის ორგანიზების მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა პრობლემურია ოჯახების დიდი ნაწილისთვის, მაინც ვერ მოხერხდა მოსახლეობის მობილიზაცია ამ საკითხის ირგვლივ - ***„წყლის მწვავე პრობლემის მიუხედავად, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველა უკან იხევს და შნო არ აქვს თელავის მოსახლეობას, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები და მოახდინოს სხვადასხვა პრობლემების მიმართ ძალისხმევის კონსოლიდაცია, სტაგნაციაა სამოქალაქო აქტიურობის“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** კიდევ უფრო რთულია ადამიანების გაერთიანება ზოგად

თემებთან დაკავშირებით, რაც ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას ეხება. რესპონდენტებმა გაიხსენეს რამდენიმე ასეთი საკითხი, მათ შორის ერთ-ერთი ეხებოდა თელავის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმებას. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მიუხედავად რამდენიმე სამოქალაქო აქტივისტის მცდელობისა, მაინც ვერ მოხერხდა მოსახლობის გაერთიანება ამ საკითის ირგვლივ - *„თელავის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შესანარჩუნებლად რომ ვიბრძოდით 100 კაცი ძლივს გამოვიყვანეთ გარეთ, რა არ გავაკეთეთ და ამაზე მეტი გამოხმაურება ვერ მივიღეთ, მერე სოციალურ ქსელში დავწერე, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გიორგის ვქომაგობთქო (სინამდვილეში არცერთი გადაცემა არ მქონდა ნანახი და გიორგის სახელიც ტყუილა დავწერე) და რა ვიცი იქ თუ ჩემ 1000 მეგობრებში 20 „ლაიქი“ თუ ექნებოდა და ჰაჰა სამი კომენტარი, აქ ხალმა ისეთი განხილვა დაიწყო, ასობით კომენტარი გაჩნდა. ქალაქი სადაც იმაზე უფრო ნერვიულობენ ვინ გაიმარჯვებს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ კონკურსში, ვიდრე ამ ქალაქის განვითარებასა და პოტენციალზე, ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, არ მაქვს ახსნა“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).* თელავის მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობა გაიხსენა ზოგიერთმა რესპონდენტმა ნადიკვარის პარკისა და თელავის თეატრის რეაბილიტაციის შემდეგ, როდესაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ რეაბილიტაციის შემდეგ თელავის ამ ორმა მნიშვნელოვანმა ღირშესანიშნაობამ ტრადიციული იერსახე დაკარგა. თუმცა, როგორც რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, ეს მაინც არ იყო ის სიტუაცია, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ერთად მოქმედებდა. *„დიდია ინდიფერენტულობა და სხვის იმედად ყოფნა, მე თუ არა სხვა მივა და სხვა გააკეთებს. სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს, ერთეულებზე დგას მხოლოდ“ (ინტერვიუს რესპონდენტი); „ადამიანებს ძალიან უჭირთ გარკვეული იდეების გარშემო გაერთიანება, შეიძლება გაერთიანდნენ გართობისთვის, მაგალითად, ჩვენ მაგალითზე, სამაგიდე თამაშების კლუბში“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).* გარკვეული გასართობი ღონისძიებების ირგვლივ ახალგაზრდები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ და მეტად ერთიანდებიან. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, თელაველების მობილიზაცია ზოგადად რთულია - *„თელავი არის ძალიან არაპოლიტიკური ქალაქი, თელავთან და თელაველებთან მიდგომა უნდა იყოს კონკრეტული, კომერციული ხასიათის - მე ვაკეთებ ამას და ამას და დამეხმარეთ ამასა და ამაში - არ უნდა იყოს პოლიტიკაში გასვრილი ხალხი“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*

ლაგოდეხში მსგავსი სიტუაციის არსებობაზე მიუთითებს რესპონდენტების ნაწილმა. თუმცა ასევე გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ლაგოდეხის მოსახლეობა

გარკვეული საკითხების მიმართ გაერთიანდა, მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ლაგოდეხის მოსახლეობა გაერთიანდა იმისთვის, რომ არ დახურულიყო კლინიკა „კელაპტარი“, რომლის მთავარი ექიმი გიორგი ლობჟანიძე ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ასევე, ასეთი ერთსულოვნება იყო სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებისას, როგორიცაა მონასტრის გზის გაწმენდა, მოხუცთა თავშესაფრის დაარსება და სხვა. ასეთი სოციალური პროექტების ინიციატორები, ძირითადად, აქტიური ადგილობრივი ახალგაზრდები და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. ლაგოდეხში არსებობს არაერთი სათემო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და როგორც ჩანს, გავლენას ახდენენ მათ სოციალურ აქტიურობაზე.

სოციალურად აქტიურ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, საზოგადოებრივი ფონდების ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ საზოგადოებაში ქველმოქმედებისა და მეცენატობის გამოცდილების არსებობა, რადგან საზოგადოებრივი ფონდის ფინანსების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება. ქველმოქმედებისა და მეცენატობის მაგალითები უხვად არ გვხვდება არც თელავში და არც ლაგოდეხში. კვლევის მონაწილეებს რთულად ახსენდებოდათ ქველმოქმედების კონკრეტული მაგალითები, როგორც თელავში ისე ლაგოდეხში. ძირითად, რესპონდენტები ასახელებდნენ სოციალურ ქსელებში შექმნილ გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადად სოციალურად დაუცველ ჯგუფებს სხვადასხვა სახით ეხმარებიან. ქველმოქმედება, ძირითადად, მიმართულია ადამიანების სამედიცინო პრობლემებისკენ - ფულის შეგროვება უფრო ადვილად ხდება სამედიცინო მიზნებისთვის - სამკურნალოდ, საოპერაციოდ - ***„სენტიმენტები გვაქვს, მაგრამ მაგალითები გვაქვს ცოტა.“*** როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ქველმოქმედებას ნაკლებად განსაზღვრავს ადამიანის შემოსავალი - ***„სამაგიდე თამაშების კლუბისთვის თანხების შეგროვებისას, თანხა ჩარიცხეს იმ ადამიანებმა, ვისაც ძალიან მცირე შემოსავალი აქვს“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში თანხა ძირითადად იმ ადამიანებმა გაიღეს, ვისაც ამ კლუბში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა.

ქველმოქმედების მაგალითად ერთ-ერთმა რესპონდენტმა, სასულიერო პირმა, გაიხსენა COVID-19 პანდემიის პირობებში თელავის მოსახლეობის მიერ გამოვლენილი გულისხმიერება იმ არაადგილობრივი კოვიდ-პაციენტების მიმართ, რომლებიც თელავის კლინიკაში მკურნალობდნენ. თელავის კლინიკაში კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან კორონა ვირუსით დაინფიცირებულ პაციენტებს ზოგჯერ

აკლდათ პირადი მოხმარების ნივთები, მაგალითად, თბილი ჩუსტები, ხალათი და სხვა (მათზე ვერ ზრუნავდნენ ოჯახის წევრები, რომლებიც თვითიზოლაციაში იყვნენ). ამ გარემოების შესახებ ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვარმა საქმის კურსში ჩააყენა თავისი მრევლი და სთხოვა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ამ ადამიანებს. შედეგად, ბევრმა თელაველმა პაციენტებისთვის პირადი მოხმარების ნივთები მიიტანა - ***„ქველმოქმედება არის გადამდები, ერთმანეთის მაგალითით შეიძლება ბევრი რამე გააკეთონ“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).***

ადგილობრივი ბიზნესმენების მხრიდან გაწეული ქველმოქმედება და მეცენატობა კვლევის მონაწილეებს რთულად ახსენდებოდათ. თუმცა, დასახელებული იყო კონკრეტული მაგალითებიც. ბიზნეს სექტორის ქველმოქმედებაზე საუბრისას გამოიყო რამდენიმე ფაქტორი. პირველი, როგორც თელავსა და ლაგოდეხში, ისე მთლიანად საქართველოში, ბიზნესს აქვს დაბალი სოციალური პასუხისმგებლობა და ნაკლებად ახასიათებს ქველმოქმედება. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ***„ზოგჯერ ბიზნესმენებს ქველმოქმედება სისუსტედ მიჩნიათ, ჰგონიათ ბიზნესმა მხოლოდ თვითონ უნდა ჩაიჯიბოს ფული“ (ინტერვიუს რესპონდენტი, ლაგოდეხი).*** მეორე, ბიზნესის ქველმოქმედება ნაკლებად არის წახალისებული საქართველოს კანონმდებლობით. მესამე, ბიზნესი ქველმოქმედებას ეწევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს გარკვეულწილად მის ინტერესებს პასუხობს, რაც, ძირითადად, მისი საქმიანობის რეკლამირებას უკავშირდება. თუმცა, აქ რესპონდენტების მოსაზრებები გაიყო. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ თელავში იცნობენ ადგილობრივ ბიზნესმენებს, რომლებსაც არაერთი კარგი საქმე გაუკეთებია კონკრეტული ადამიანებისთვის ან დაუფინანსებია სოციალური პროექტი იმ პირობით, თუ თავად ჩრდილში დარჩებოდნენ. ამ გარემოებას კვლევის მონაწილეები განსხვავებულად ხსნიან - ***„ბიზნესმენებს არ უნდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს მოხვდნენ თვალში, კარგად ვიცით, წინა ხელისუფლების დროს რა რეკეტიც მიმდინარეობდა... კარგად გვახსოვს, ალავერდის ტაძარს რომ შესწირეს ბიზნესმენებმა, მერე მათი საქმე როგორ წავიდა, არ გვინდა ახლა ამის გახსენება... ალბათ, ამის შიში აქვთ დღესაც ბიზნესმენებს, ვისაც თავისი სახელის გამხელა არ სურს“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ადგილობრივ ბიზნესს ხელისუფლების წარმომადგენლები დღესაც მიმართავენ სხვადასხვა პროექტების დაფინანსების თხოვნით. ხშირად, ბიზნესმენებს არ სურთ საკუთარი ქველმოქმედების შესახებ ინფორმაციის გავრცელება იმის შიშით, რომ ძალიან არ გაიზარდოს დახმარების მთხოვნელთა რაოდენობა. სავარაუდოდ ამ მიზეზების გამო, კვლევის მონაწილეები ერიდებოდნენ იმ კონკრეტული ბიზნესმენების ვინაობის გამხელას,

რომლებიც ქველმოქმედებას ეწევიან. უნდა აღინიშნოს, რომ თელავში საქველმოქმედო საქმიანობაში ძირითადად ჩართულია სასტუმრო და ღვინის ბიზნესის წარმომადგენლები. ლაგოდეხში - ნაკლებად გვხვდება მსხვილი ბიზნესი, ქველმოქმედებაში ძირითადად მაღაზიის მფლობელები მონაწილეობენ.

როგორც თელავის, ისე ლაგოდეხის თვითმმართველობის წევრებისგან შემდგარ ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა გაიხსენეს ადგილობრივი ბიზნესის წვლილი ადგილობრივი სპორტსმენების მხარდაჭერაში. თელავის შემთხვევაში ადგილობრივმა ბიზნესმა მხარი დაუჭირა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს, ხოლო ლაგოდეხის შემთხვევაში - ახალგაზრდა მორბენალთა პრესტიჟულ ევროპულ ჩემპიონატზე ადგილობრივი სპორტსმენის მონაწილეობას.

ბიზნესმენებთან საუბარმა აჩვენა, რომ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები ინტერესს იჩენენ თელავის თეატრისა და ადგილობრივი სპორტსმენებისადმი, თუმცა აღნიშნეს, რომ გაწეული ქველმოქმედება ზოგჯერ უარყოფითად მოუბრუნდათ - ***„საკმაოდ კარგი პროექტები გავაკეთეთ თეატრში, მკვდარი თეატრი გამოვაცოცხლეთ, გავაკეთეთ გათბობის სისტემა, ეს წლების განმავლობაში კეთდებოდა, წინასწარ ვყიდულობდით ბილეთებს, მაგრამ მერე ამ პროექტების გამო მოვყევით შარში, ფიქრობდნენ რატომ აკეთებენ, თუ რაღაც ქვენა გრძნობები არ აქვთ? თუ ეს ფონდი დაარსდება, პოლიტიკური გამოცდილების ხალხთან მე არ ვითანამშრომლებ, მე მიყვარს თავისუფალი აზრი და თავისუფლება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** კვლევის მონაწილე ადგილობრივმა ბიზნესმენებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნება, თუ არა მხოლოდ თანხის სათხოვნელად მიმართავენ ადგილობრივ ბიზნესს, არამედ ჩართავენ მათ იმ პრიორიტეტების განსაზღვრაში, თუ რაში უნდა დაიხარჯოს თანხა - ***„მე მაგალითად, ყოველთვის გამოვნახავ დროს დავესწრო ასეთ შეკრებებს და ჩავერთო მსჯელობაში“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე ბიზნესმენი, ლაგოდეხი).***

კვლევის მონაწილეებთან საუბარმა აჩვენა, რომ ლაგოდეხში, ძირთადად, მცირე ბიზნესი გვხვდება და სწორედ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობენ ქველმოქმედებაში - მაღაზიების, საცხობის, საოჯახო სასტუმროების მფლობელები; შესაბამისად, მათ მიერ გაღებული ხარჯები უფრო მოკრძალებულია. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ მცირე ბიზნესის შემოსავლები, როგორც წესი, სტაბილური არ არის; აქედან გამომდინარე, მათ მიერ გაწეული ქველმოქმედებაც რეგულარულ ხასიათს არ ატარებს.

როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში, სოციალური ინიციატივები, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოდის; ზოგიერთ მათგანს ადგილობრივ

მთავრობებთან კარგი თანამშრომლობა აქვთ. ლაგოდეხში ფუნქციონირებს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (Location Action Group - LAG), რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეას“ ხელშეწყობით ჩამოყალიბდა, ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში. LAG-ი აერთიანებს ლაგოდეხის სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ ბიზნესსა და თვითმმართველობას; და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხების შესაბამისი პროექტების განხორციელებას. ლაგოდეხში LAG-ის გამოცდილება აჩვენებს, რომ სავსებით შესაძლებელია ადგილობრივი დაინტერესებული ჯგუფების გაერთიანება და მათი საქმიანობის კოორდინაცია მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ LAG-ის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ლაგოდეხის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ „ქეას“ დაფინასნებით მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ, LAG-ის საქმიანობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ერთ-ერთ ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა წამოჭრეს საკითხი - ადგილობრივი საზოგადოებრივი ფონდი ხომ არ წარმოადგენს LAG-ის დუბლირებას. მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით გაიყო - ზოგიერთს მიაჩნდა, რომ ადგილობრივი თემისთვის, შესაძლოა დამაბნეველი იყოს სამოქალაქო გაერთიანებების ასეთი მრავალფეროვნება - ***„ხალხი შეიძლება დაიბნეს, განსაკუთრებით ბიზნესმენები, შეიძლება ერჩივნოთ მხოლოდ ერთ ორგანიზაციას ჩაურიცხონ შემოწირულობა, ვიდრე რამდენიმეს, ხომ არ შეიძლება ამ ორი ინიციატივის რამენაირად გაერთიანება? (ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ლაგოდეხი)***. სხვები თვლიან, რომ LAG-სა და საზოგადოებრივ ფონდს პარალელურად შეუძლიათ ფუნქციონირება - ***„მთავარია, კარგად გაიმიჯნოს მათი ფუნქციონირების სფეროები.“***

როგორც ვხედავთ, როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში არსებობს ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს სამოქალაქო აქტივიზმს. როგორც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, ***„მთავრია საზოგადოებას სწორად მიეწოდოს ინფორმაცია ამ ინიციატივის შესახებ - ოქროს თუ ცუდად მიაწვდი, ნაგვის ფასადაც ვერ გაყიდი და ნაგავი შეგიძლია ოქროს ფასად გაყიდო, ადამიანები უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს ფონდი მათ სასიკეთოდ იმუშავებს, კონკრეტული საქმეებით უნდა დარწმუნდნენ; თუ ამას დაინახავენ, მაშინ ჩაერთვებიან“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** კვლევის მონაწილეები ასევე საუბრობდნენ კარგი მაგალითის მნიშვნელობაზე, რომელიც განსაკუთრებით კარგად ბიზნესის შემთხვევაში მუშაობას - ***„თელავში ბიზნესი სულ ერთმანეთის მიბაძვით კეთდება***

- გახსნა ერთმა ყვავილების მაღაზია, გახსნა ყველამ, გახსნა ვიღაცამ საცხობი - მეორე დღეს ყველას საცხობი აქვს. ამ წამხედურობის გამოყენება ქველმოქმედებაშიც შეიძლება, კარგი კონკრეტული მაგალითები უნდა დავანახოთ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი). როგორც აღინიშნა, ასეთი დადებითი მაგალითებით შეიძლება ხელი შევუწყოთ ფონდის საქმიანობით ადამიანების დაინტერესებასა და ჩართულობას - ***„ხალხს გამოღვიძება სჭირდება კარგი მაგალითებით."***

საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები

როგორც თელავის, ისე ლაგოდეხის შემთხვევაში, კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოებრივი ფონდი ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთ თემებზე, რომლებიც პრობლემურია ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისთვის და არ უნდა მუშაობდეს, კონკრეტული ადამიანების სოციალურ პრობლემებზე - ***„ამ გაჭირვებაში სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს რა დალევს, თანხაც დაიხარჯება და პრობლემები მაინც დარჩება (ინტერვიუს რესპონდენტი).***

კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მნიშვნელოვანია ფონდისთვის პრიორიტეტული იყოს მოცემული ადგილის „ბრენდირება." თელავის შემთხვევაში ასეთ საფირმო ნიშნად დასახელებული იყო ქალაქში ერეკლე მეფის სასახლისა და უნივერსიტეტის არსებობა - ***„ძირითადი აქცენტი გაკეთებული უნდა იყოს კულტურასა და განათლებაზე, ყველაფერი, ტურიზმიცა და ეკონომიკის განვითარებაც ამ მიმართულებით უნდა წავიდეს (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).*** როგორც არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ თელავი გახდეს ***კახეთში კულტურისა და განათლების ცენტრი.*** თელავში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ტრადიცია არსებობს, თუმცა, როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ეს მიმართულება მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს და თან ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა მოხდეს, თელავის, როგორც ტურისტულად საინტერესო ქალაქის პოპულარიზაცია; ამისათვის კარგი იქნება, თუ ფონდი ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების განხორციელებას, როგორიცაა მაგალითად, ადგილობრივი მხატვრების და პოეტების ნამუშევრების პოპულარიზაცია, ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება. საერთაშორისო ტურიზმთან ერთად თელავი შეიძლება გახდეს შიდა ტურიზმის ცენტრი, შაბათ-კვირას დროის საინტერესოდ გატარების ადგილი, ამისთვის ფონდის ფოკუსში უნდა იყოს სხვადსხვა კულტურული ღონისძიებების (ფესტივალების, ბაზრობების და სხვა) ორგანიზება - ***„თელავი, ზოგადად, კულტურის მოყვარული ქალაქია და ღიაა ყოველგვარი სიახლეებისადმი. გარდა ამისა, თბილისთან ახლოსაა და ეს ყველაფერი უკეთესად უნდა***

იყოს გამოყენებული (ფოკუს ჯგუფის მონაწილე, თელავი). საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დასახელებული იყო პრიორიტეტულ თემად ლაგოდეხის შემთხვევაშიც. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ფონდის მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ლაგოდეხის ნაკრძალის პოპულარიზაციას, როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივ ტურისტებს შორის - ***„ფონდის მუშაობა მიმართული უნდა იყოს ლაგოდეხის ბრენდირებაზე. როგორც სიღნაღს დაერქვა სიყვარულის ქალაქი, ისე ლაგოდეხისთვის უნდა მოინახოს დასახელება. ლაგოდეხში თავმოყრილია ხალხი სხვადასხვა კუთხიდან, მთელი საქართველო აქ არის და ეს შეიძლება გამოყენებული იყოს (ინტერვიუს რესპონდენტი, ლაგოდეხი).***

როგორც თელაველი, ისე ლაგოდეხელი რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ფონდის მუშაობაში ჩართული უნდა იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რადგან მნიშვნელოვანია საქმიანობის კოორდინაცია. ფონდის მიერ თელავსა და ლაგოდეხში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა კოორდინირებული უნდა იყოს ადგილობრივი მთავრობის საქმიანობასთან - სწორედ მათი მოსაგვარებელია, ისეთი პრობლემები, რომლებიც ამ სფეროს მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოადგენს, კერძოდ კი გაუმართავი წყლის სისტემა, მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა, ქალაქის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა - მეტი სისუფთავე, ტაქსების გაჩერებების, ბაზრების მოწესრიგება, მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვა და სხვა. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ფონდის პრიორიტეტები უნდა ითვალისწინებდეს თელავისა და ლაგოდეხის განვითარების გენერალური გეგმის მიმართულებებს (რომლებიც, სავარაუდოდ, ახლო მომავალში დამტკიცდება). როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს - ***„ფონდმა სახელმწიფოს საქმე არ უნდა გააკეთოს.“*** საზოგადოებრივი ფონდის მუშაობაში ჩართვის მზადყოფნა გამოხატეს ორივე მხარის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. მათ ასევე აღნიშნეს ფონდისა და ადგილობრივი მთავრობის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობა.

თელაველმა რესპონდენტებმა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მიანიჭეს განათლების განვითარებას და თელავის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა - ***„აქ სასწავლებლად უნდა ჩამოდიოდნენ ბათუმიდან და ქუთაისიდან.“*** ზოგადად, ახალგაზრდებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად დასახელდა როგორც თელავის, ისე ლაგოდეხის შემთხვევაში. ეს კი გულისხმობს სწორედ კულტურისა და განათლების საკითხების წინ წამოწევას. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა ***„ახალგაზრდებს***

სხვაგან წასვლა არ უნდა სჭირდებოდეთ საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის, ადგილზე უნდა ჰქონდეთ განვითარებისა და შემდეგ შესაბამისი დასაქმების შესაძლებლობა" (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი); „ყველა პრობლემის სათავე იღებს განათლებასთან, შედეგზე ორიენტირებული ახალგაზრდობა უნდა გაიზარდოს და სწორედ ამას უნდა შევუწყოთ ხელი" (ინტერვიუს რესპონდენტი, ლაგოდეხი). ხარისხიანი განათლების მიღებასთან ერთად, ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ გართობისა და დროის საინტერესოდ გატარების შესაძლებლობა. კვლევის მონაწილეების აზრით, ფონდი მხარს უნდა უჭერდეს ახალგაზრდების ისეთ ინიციატივებს, რომლებიც სხვა ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობებისა და საინტერესო აქტივობების შექმნაზე იქნება მიმართული. მაგალითად, თელავში შეიქმნა სამაგიდე თამაშების კლუბი - ამ სიახლით არაერთი ახალგაზრდა დაინტერესდა. ფონდის პრიორიტეტი შეიძლება იყოს ახალგაზრდებისთვის სპორტული და სახელოვნებო კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ეს განსაკუთრებით აქტუალურია სოფლებში. ფონდის მუშაობის პრიორიტეტი უნდა იყოს სწორედ სოფლებში ახალგაზრდებისთვის განათლებისა და კულტურული აქტივობების სივრცის მოწყობა.

როგორც თელაველი, ისე ლაგოდეხელი რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ფონდის საქმიანობამ მოსახლეობის ფართო ჯგუფების საჭიროებები და ინტერესები უნდა მოიცვას - სწორედ ეს უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობაში ადგილობრივი თემის ჩართულობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ბიზნესის წარმომადგენელებსა და საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ ფეხის მოკიდებასა და დამკვიდრებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საქმიანობის მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის და განათლების მიმართულებების განვითარებას. ლაგოდეხის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ყველა მონაწილეს თანაბარი შესაძლებლობები ეძლეოდეს, რაც ხშირად არ ხდება - *„ყველას არ აქვს პროექტების წერის გამოცდილება, შეიძლება ძალიან კარგი იდეები ჰქონდეს, მაგრამ ვერ ჩამოაყალიბოს პროექტის სახით, ბევრმა არ იცის ბიუჯეტის შედგენა, ეს რა თქმა უნდა ამ ადამიანებს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებს" (ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ლაგოდეხი).*

ცალკე მიმართულებად გამოიყო *სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა,* ეს მიმართულება განსაკუთრებით აქტუალური იყო ლაგოდეხის რესპონდენტებისთვის. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით ფონდის საქმიანობა პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს შემდეგ საკითხებს: (ა) ახალი ტექნოლოგიების დანერგვის

ხელშეწყობა, (ბ) მევენახეობის პარალელურად, ახალი კულტურების (ზეთისხილი, ნუში, თხილი და სხვა) დანერგვის ხელშეწყობა, (გ) ბიომეურნეობის ხელშეწყობა, (დ) თუშური ყველის ბრენდირება, (დ) ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოების ხელშეწყობა. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თელავისა და ლაგოდეხის კლიმატური პირობები უკეთესად უნდა იყოს გამოყენებული სოფლის მეურენეობის სხვდასხვა მიმართულებით განვითარებისთვის, რაც ასევე შეუწყობს ხელს აგროტურიზმის განვითარებას; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ ფონდის საქმიანობამ ეს სფეროც დაფაროს.

საზოგადოებრივი ფონდის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების გზები

კვლევის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი ფონდის წარმატებულ საქმიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მის შესახებ ადგილობრივი თემის სწორად ინფორმირება. როგორც აღინიშნა, ფონდის შესახებ ინფორმაციის გავრცელება წინ უნდა უსწრებდეს საქმიანობის დაწყებას. ასევე, ფონდის დაარსების შემდეგ, მოსახლეობა რეგულარულად უნდა იღებდეს ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ - წარმოჩენილი უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობა და კონკრეტული შედეგები.

როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ყველა ფენასა და ჯგუფებთან უნდა მიდიოდეს, რაც ინფორმაციის გავრცელების სხვადსხვა გზების გამოყენებას გულისხმობს:

- ***ინტერნეტი და სოციალური მედია*** - ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს; შესაძლებელია ფეისბუქზე აქტიური ჯგუფების შექმნა. თელავსა და ლაგოდეხში უკვე შექმნილია არაერთი ჯგუფი სოციალურ ქსელში, შესაძლებელია მათთან თანამშრომლობა. ინფორმაცია ფონდის შესახებ შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა საინფორმაციო ქსელით, მაგალითად REGINFO-ს საშუალებით, რომელიც ახალ ამბებს ავრცელებს საქართველოს რეგიონებიდან.
- ***რეგიონული და ცენტრალური ტელევიზია*** - ტელევიზიით ინფორმაციის გავრცელება ყველა თაობის წარმომადგენელს მოიცავს, განსაკუთრებით კი შუახნის პირებსა და ხანდაზმულებს. ცენტრალური არხებიდან დასახელებული იყო „იმედი“ და „მთავარი არხი“.
- ***კარდაკარ პრინციპით ინფორმაციის გავრცელება*** - ფონდის საქმიანობის შესახებ ბუკლეტებისა და ლიფლეტების კარდაკარ გავრცელება განსაკუთრებით

აქტუალურია სოფლებში, სადაც შესაძლებელია პირისპირ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა.

- ***შეხვედრების ორგანიზება*** - რეგულარული შეხვედრების ორგანიზება ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- ***საკონტაქტო პირების გამოყოფა სოფლებისა და უბნების მიხედვით*** - ფონდის საკონტაქტო პირების არსებობა უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას სოფლებისა და უბნების მიხედვით. ასევე, ეს ადამიანები აღრიცხავენ მოცემული უბნის მაცხოვრებელთა შესაძლებლობებსა და პოტენციალს, ვის რა წვლილის შეტანა შეუძლია ფონდის მუშაობაში; გარდა ამისა, ფონდს მიაწვდის ინფორმაციას ადგილობრივების ძირითადი საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ.

კვლევის მონაწილე თელავისა და ლაგოდეხის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მნიშნელოვანია ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ჰქონდეს ადგილობრივ თვითმმართველობას - ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტურ გზებად განიხილება ანგარიშების გაგზავნა და პირისპირ შეხვედრები. როგორც აღინიშნა, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ადგილობრივ მთავრობას და საზოგადოებრივ ფონდს საქმიანობის კოორდინირებაში დაეხმარებათ.

როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება - აუცილებელია მათი ინფორმირება ფონდის საქმიანობისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ - ***„ბიზნესს არა მარტო ფული უნდა სთხოვონ, არამედ ჩართონ კიდეც განხილვებში, თუ რა მიმართულებით უნდა დაიხარჯოს ფული, უნდა შეიქმნას ადგილობრივ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელსაც ფონდთან ექნება კომუნიკაცია (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).***

საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივ თემში ნდობისა და მიკუთვნებულობის გრძნობის განვითრებისთვის საჭირო მექანიზმები

„ნდობის მოსაპოვებლად ყველაზე კარგი ინსტრუმენტია გამჭვირვალობა, სადაც ყველამ ყველაფერი იცის და არ ჭორაობს“ - აღნიშნა კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაძლებელია რეგულარული და დეტალური ანგარიშგებით - ***„ყოველი თეთრის მოძრაობა დეტალურად უნდა ჩანდეს, არავის არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ აქ ვიღაც ფულს აკეთებს“ (ინტერვიუს რესპონდენტი, ლაგოდეხი).*** ფონდის საქმიანობის შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა

იყოს ფონდის ვებ გვერდზე. ასევე, უნდა ეგზავნებოდეს დაინტრესებულ პირებს ელექტრონული ფოსტით, ხდებოდეს მისი წარმოდგენა პირისპირ შეხვედრებზე.

ფონდის მიმართ ადამიანების ნდობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის ადამიანები, რომლებიც ფონდის სათავეში იქნებიან - ***„მნიშვნელოვანია, რომ ფონდს სათავეში ჩაუდგნენ მაღალი რეპუტაციის მქონე ადგილობრივი ადამიანები, ვისაც არ აქვს წარსული გასვრილი“ (ინტერვიუს რესპონდენტი)***. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, მიზანშეწონილი არ არის ფონდის საქმიანობაში პოლიტიკური პარტიების ჩართულობა, რადგან პოლიტიკურმა ფონმა შეიძლება დაძაბულობა შეიტანოს სხვადასხვა ჯგუფებში - ***„ფონდმა უნდა გააერთიანოს მოსახლეობა.“***

კვლევის მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ფონდის საქმიანობაში ჩართულ ადამიანებზე მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ განხორციელებული საქმიანობა - **„ნდობა უკავშირდება კონკრეტულ საქმიანობას - ადამიანებმა უნდა დაინახონ კონკრეტული საქმე, კონკრეტული პრობლემების გადაჭრა, დაინახონ რომ ეს ფონდი რეალური ადამიანების რეალურ პრობლემებზე მუშაობს და არა რაღაც ზოგად პრობლემზე, რომლებიც ყველამ იცის, რომ არ მოგვარდება“ (ინტერვიუს რესპონდენტი, თელავი).** კვლევის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ფონდის საქმიანობაში ადამიანების ჩართულობის განმაპირობებელი სწორედ მისი მუშაობის შედეგები იქნება - **„თუ შედეგები იქნება, ნდობაც იქნება.“** როგორც ვხედავთ, ადგილობრივი მოსახლეობის დეტალურ ინფორმირებას გაწეული საქმიანობის შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფონდის მიმართ ნდობის ჩამოსაყალიბებლად.

ნდობა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ფონდისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა გაუჩნდეს. როგორც კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, ადგილობრივი თემის ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფონდის საქმიანობაში მათი მონაწილეობისთვის - ***„ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს თემის მონაწილეობით, პრიორიტეტული სფეროები შერჩეული უნდა იყოს ასევე ადგილობრივების ჩართულობით“ (ინტერვიუს რესპონდენტი)***. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშრებით ადგილობრივების მოსაზრებების გაგება შესაძლებელია ამ ტერიტორიებზე ფონდის საკონტაქტო პირების დახმარებით.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები ჩამოყალიბდა საერთაშორისო ლიტერატურაში მოცემული საზოგადოებრივი ფონდების ოთხი ძირითადი შემადგენელი ნაწილის ირგვლივ (რომლებსაც ასევე დაეყრდნო კვლევის ამოცანები და ინსტრუმენტები):

(1) იდენტობა/ თვითშეგნება, (2) საერთო პრობლემა / თემა, (3) ადგილზე არსებული რესურსები და (4) ხალხი / ადგილობრივი მოსახლეობა.

იდენტობა/თვითშეგნება

ორივე მუნიციპალიტეტში იკვეთება კვლევის მონაწილეთა მზაობა სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით ჩაერთონ საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობაში, ეს შეიძლება გამოიხატოს საზოგადოებრივი ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობით, თემატური კონსულტაციების გაწევით, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობით, შეძლებისდაგვარად, ფინანსური კონტრიბუციით. ამავე დროს გამოიკვეთა, რომ ფონდის ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობას არ უნდა ჰქონდეს მოხალისეობრივი ხასიათი, რადგან ფონდის საქმიანობის ადმინისტრირება სრული დატვირთით მუშაობას გულისხმობს და, შესაბამისად, უნდა იყოს ანაზღაურებული.

როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში მოსახლეობის სოციალური აქტივიზმი დაბალია. საკმაოდ რთულია ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაცია თუნდაც ისეთი თემების გარშემო, რომლებიც მათ პირადად ეხებათ. თუმცა, ფონდის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდებისა და რაც მთავარია, კონკრეტული შედეგების დანახვის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი დაინტერესება ფონდის საქმიანობით.

ორივე მუნიციპალიტეტში ქველმოქმედება ნაკლებად არის გავრცელებული. როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში ქველმოქმედების მხოლოდ ერთეული მაგალითებია. სოციალურ ქსელებში შექმნილი საქველმოქმედო ჯგუფები მიმართულია კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად. ნაკლებად აქტიურობს ადგილობრივი ბიზნესი. თელავში სასტუმროსა და ღვინის ბიზნესის მფლობელები გარკვეულწილად მონაწილეობენ სოციალურ პროექტებში (ადგილობრივი კულტურისა და სპორტის მხარდაჭერა). ლაგოდეხში მცირე ბიზნესი დომინირებს - საქველმოქმედო საქმიანობაში ძირითადად მაღაზიისა და საცხობების მესაკუთრეები მონაწილეობენ, რომელთა ფინანსური კონტრიბუცია მოცემულ მომენტში საკმაოდ მოკრძალებული და არამდგრადია. როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესში ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში მათ არ სურთ ქველმოქმედების აფიშირება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება გასაწევი

საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობაში ადგილობრივი ბიზნესის ჩასართავად. კვლევის ჩატარების პერიოდში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი ბიზნესიდან მოზიდული თანხა (განსაკუთრებით ლაგოდეხში) იქნება მოკრძალებული და ვერ დაფარავს ორივეს - ფონდის ადმინისტრაციულ და საგრანტო პროგრამისთვის საჭირო ხარჯებს.

ორივე მუნიციპალიტეტში თვითმმართველობა მიესალმება საზოგადოებრივი ფონდის დაარსებას და მზად არის თანამშრომლებისთვის. მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილის შესატანად ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ფონდმა უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის განვითარების გენერალური გეგმა. მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობასთან საქმიანობის კოორდინაცია, თუმცა ფონდმა არ უნდა დაფაროს სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებები და საქმიანობა. მაგალითად, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფონდმა შეიძლება ხელი შეუწყოს საოჯახო სასტუმროების განვითარებას ან კულტურული ღონისძიებების (ფესტივალები, ბაზრობები) ორგანიზებას, სახელმწიფომ კი უზრუნველყოს ქალაქის შესაბამის ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება. ეს უკანასკნელი, წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენს თელავსა და ლაგოდეხში.

მიუხედავად იმისა, რომ თელავსა და ლაგოდეხში მოსახლეობის სოციალური აქტივიზმი მაღალი არ არის, საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობით ადგილობრივი თემის დაინტერესება შესაძლებელია, თუ გათვალისწინებული იქნება რამდენიმე პირობა: (1) ადგილობრივი მოსახლეობა დეტალურად იქნება ინფორმირებული ფონდის საქმიანობის შესახებ, როგორც მის დაფუძნებამდე, ასევე, მუშაობის პროცესში; (2) ადგილობრივ მოსახლეობაში ფონდის მიმართ ნდობის განვითარება - ფონდის მაქსიმალურად გამჭირვალედ მართვა - თხრობითი, განსაკუთრებით კი ფინანსური ანგარიშების მოსახლეობისთვის ადვილი ხელმისაწვდომობა, ფონდის სათავეში იმ ადამიანების ჩაყენება, რომლებსაც ადგილობრივ მოსახლეობაში მაღალი რეპუტაცია და პატივისცემა აქვთ, კონკრეტული შედეგებისა და საქმეების ჩვენება, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებთან მინიმალური კავშირი, (3) საზოგადოებრივი ფონდის მუშაობაში ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობა - მართვის პროცესში (გადაწყვეტილების მიღების პროცესში) ადგილობრივი თემის სხვადასხვა ჯგუფების ჩართვა - მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის ჩართვა - მათი მონაწილეობა არა მხოლოდ

თანხების მობილიზაციაში, არამედ იმ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრაში, თუ რაში დაიხარჯება ფონდის სახსრები. თვითმმართველობასთან საქმიანობის კოორდინაცია ფონდს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთიანი გეგმის განხორციელებაში.

საერთო პრობლემა / თემა

ორივე მუნიციპალიტეტს აქვს მსგავსი გამოწვევები. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გარდა, თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები დგანან ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიცაა:

- ბუნებრივი რესურსების არასწორი გამოყენება - გაუმართავი წყლის სისტემა, ჰავა სათანადოდ არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობაში, მრავალფეროვანი კულტურების გასაშენებლად, ლაგოდეხის ნაკრძალის რესურსი სათანადოდ არ არის ათვისებული და სხვა.
- მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა - მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობას, ასევე ზიანს აყენებს მუნიციპალიტეტებში საგანმანათლებლო საქმიანობას, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას; და ბოლოს, არაკეთილსასურველ გარემოს ქმნის ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის, რაც ხელს უწყობს მათ მიგრაციას.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის „ბრენდირება.“ თელავის შემთხვევაში ეს უკავშირდება მისი სატახტო ქალაქის ტიტულს, თეატრსა და უნივერსიტეტს; ძირითად პრიორიტეტად დასახელდა კახეთის რეგიონში თელავის კულტურის, საგანმანათლებლო და ტურიზმის ჰაბად ჩამოყალიბება. ლაგოდეხის შემთხვევაში აქცენტი კეთდება ნაკრძალსა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სასარგებლო კლიმატურ პირობებზე, რაც ამავდროულად ხელს შეუწყობს ბიო მეურნეობისა და აგროტურიზმის განვითარებას. როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა და მათი მიგრაციის შეჩერება. რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან რესურსად განიხილება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

ადგილზე არსებული რესურსები

ორივე მუნიციპალიტეტში არსებობს ის შესაძლებლობები და რესურსები, რომელსაც დაეყრდნობა ფონდის მუშაობა. ასეთ რესურსებად დასახელებულია თელავისა

და ლაგოდეხის ბუნებრივი, კულტურული, საგანმანათლებლო და ისტორიული რესურსები. თელავში - ერეკლე მეფის სასახლე, თეატრი და უნივერსიტეტი; ლაგოდეხში - ნაკრძალი და სოფლის მეურნეობისთვის ხელშემწყობი პირობები, უხვმოსავლიანობა. ორივე მუნიციპალიტეტში გადადგმულია ნაბიჯები ტურიზმის განვითარების მიმართულებით. თბილისთან სიახლოვე ქმნის შიდა ტურიზმის უკეთ განვითარების შესაძლებლობას. კახეთის, განსაკუთრებით კი ლაგოდეხის ჰავა ქმნის სოფლის მეურნეობის - ტრადიციული და ახალი კულტურების განვითარების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც თელავში, ისე ლაგოდეხში სამოქალაქო აქტივიზმი საკმაოდ დაბალია, არსებობს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს საზოგადოებრივი ფონდი - ეს არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები, მხარდამჭერ რესურს ასევე წარმოადგენს სათემო ორგანიზაციები. ლაგოდეხში არსებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (Local Action Group -LAG) ერთდროულად შეიძლება განვიხილოთ როგორც შესაძლებლობა და გამოწვევა. LAG-მა აჩვენა, რომ შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების, თვითმმართველობისა და ბიზნესის ეფექტური თანამშრომლობა - რეალურად არსებობს ასეთი გამოცდილება და შესაძლებელია მისი გამოყენება; თუმცა, LAG და საზოგადოებრივი ფონდი თავისი არსით ძალიან მსგავსია და ბევრ შემთხვევაში შესაძლებელია მათი საქმიანობის დუბლირება; ორივე ინსტიტუტი ეყრდნობა ადგილობრივი თემის ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, რაც პატარა მუნიციპალიტეტისთვის შეიძლება გამოწვევა გახდეს.

ორივე მუნიციპალიტეტში არსებობენ ადგილობრივი ბიზნესმენები, რომლებიც ჩართულნი არიან ქველმოქმედებაში და შეიძლება მოვიაზროთ საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის მხარდამჭერებად. თუმცა, მათი მოტივაციისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნება გასაწევი. ასევე, ამ ეტაპზე, ადგილობრივი ბიზნესისგან მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა - განსაკუთრებით ლაგოდეხის შემთხვევაში, სადაც ქველმოქმედებაში ძირითადად მცირე ბიზნესია ჩართული. სწორად წარმართული მუშაობის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ადგილობრივი ბიზნესი აქტიურად ჩაერთოს ფონდის პრიორიტეტული თემების განხილვასა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

ორივე მუნიციპალიტეტს ჰყავს აქტიური ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი, რაც შეიძლება განვიხილოთ საზოგადოებრივი ფონდის იმ მხარდამჭერ რესურსად, რომელსაც შეუძლია ადგილობრივი ახალგაზრდების მობილიზაცია. მნიშვნელოვანია ამ რესურსის

ეფექტურად გამოყენება ახლგაზრდებისთვის პიროვნული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობების შექმნით.

ხალხი / ადგილობრივი მოსახლეობა

ორივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა ახლოს არის საზოგადოებრივი ფონდის დაარსებისთვის საერთაშორისო ლიტერატურაში რეკომენდირებულ მინიმალურ რაოდენობასთან - 50 000-თან. პატარა სოფელსა და დაბაში, რთულია ფონდის საქმიანობისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზაცია. ამ თვალსაზრისით, ლაგოდეხთან შედარებით, თელავს გარკვეული უპირატესობა გააჩნია - მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური განვითრების მაჩვენებლების მიხედვით, საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის მდგრადობისთვის თელავში უკეთესი პირობები არსებობს. თუმცა, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწორად წარმართული მუშაობის შემთხვევაში, საზოგადოებრივმა ფონდმა შესაძლოა შეზღუდული რესურსების პირობებშიც იმუშაოს ეფექტურად.

საერთაშორისო გამოცდილებისა და საველე კვლევის მიგნებების გათვალისწინებით, სამიზნე მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი ფონდის შექმნისა და მისი მდგრადი განვითარებისთვის, რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. ***საზოგადოებრივი ფონდის დაარსებამდე აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის წარმართვა ორივე მუნიციპალიტეტში*** - საკომუნიკაციო კამპანიამ უნდა მოიცვას ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენა და ასაკობრივი ჯგუფი. კამპანიამ უნდა მოიცვას, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან პირისპირ კონტაქტი, ისე სოციალური და ადგილობრივი მედია. ადგილობრივ ტელევიზიებსა და რადიოში გავა სოციალური რეკლამა, სიუჟეტები საზოგადოებრივი ფონდების შესახებ და ინფორმაცია, რომ მსგავსი ფონდის დაარსება იგეგმება მათ მუნიციპალიტეტში; ადგილობრივი მასმედიის საშუალებით, მუნიციპალიტეტებში ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ადგილობრივი ადამიანები ისაუბრებენ საზოგადოებრივი ფონდების მნიშვნელობასა და გამოთქვამენ მზაობას, მონაწილეობა მიიღონ ასეთი ფონდის მუშაობაში.
2. ***საზოგადოებრივი ფონდის შექმნის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება ორივე მუნიციპალიტეტში*** - საკომუნიკაციო კამპანიის მომდევნო

ნაბიჯს წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში იმ საინიციატივო ჯგუფის იდენტიფიცირება და შექმნა, რომელიც ნიადაგს მოამზადებს საზოგადოებრივი ფონდის ჩამოყალიბებისა და მისი მდგრადი საქმიანობისთვის. საინიციატივო ჯგუფი, 7-10 წევრის შემადგენლობით, შეიძლება შერჩეული იყოს შემდეგი გზით:

2.1 *კონკურსის საფუძველზე* - მხარდამჭერი ორგანიზაცია გამოაცხადებს კონკურსს, რომლის საფუძველზე ადგილობრივი მოსახლეობიდან შერჩეული იქნება თანამოაზრეთა გუნდი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს, განსაზღვრულ ვადაში მოამზადოს ნიადაგი საზოგადოებრივი ფონდის დაარსებისა და მისი ეფექტური საქმიანობისთვის.

2.2 *საერთო კრებაზე არჩევის გზით* - დაინტერესებული პირების საერთო კრებაზე შერჩეული იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც ადგილობრივი თემის აზრით, საუკეთესო კანდიდატები არიან ამ ჯგუფში სამუშაოდ.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე შემთხვევაში მხარდამჭერმა ორგანიზაციამ უზრუნველჰყოს საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ ადგილობრივ თემში ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება და ამ პროცესში მისი მაღალი ჩართულობა.

3. ***საინიციატივო ჯგუფის მუშაობაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:***

3.1 *აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის გაგრძელება:* საკომუნიკაციო კამპანია უნდა გულისხმობდეს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან პირისპირ შეხვედრების ორგანიზებას, პირისპირ ინფორმაციის მიწოდებასა და მსჯელობას. სოფლების/უბნების მიხედვით, უნდა შეირჩნენ საკონტაქტო პირები, რომლებიც კარდაკარ პრინციპით მოსახლეობაში გაავრცელებენ ინფორმაციას საზოგადოებრივი ფონდის დაარსების შესახებ - დაარიგებენ საინფორმაციო ფურცლებს, პასუხს გასცემენ მოსახლეობის კითხვებს. საზოგადოებასთან ერთად, საკომუნიკაციო კამპანიის მნიშვნელოვან სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი ბიზნესი - მნიშვნელოვანია ადგილობრივ ბიზნესმენებთან როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება - მხარდამჭერი ჯგუფის ჩამოყალიბება. პარალელურად საინფორმაციო შეხვედრები უნდა გაიმართოს სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობასთან. მნიშვნელოვანია, რომ ამ შეხვედრებს ჰქონდეს ინფორმაციის ორმხრივად გაცვლის სახე - საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ადგილობრივი თემის წევრებს/ჯგუფებს მიაწოდონ ინფორმაცია

საზოგადოებრივი ფონდის დაარსებასთან დაკავშირებით და ამავე დროს, მოისმინონ მათი მოსაზრებები, მოლოდინები და ხედვები.

3.2 *მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ფონდის პოტენციური მხარდამჭერების იდენტიფიცირება და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა* - საზოგადოებრივი ფონდის ჩამოყალიბების მოსამზადებელი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს ადგილობრივ თემში ფონდის მხარდამჭერი კონკრეტული ადამიანებისა და ჯგუფების იდენტიფიცირება. მნიშვნელოვანია *მონაცემთა ბაზის შექმნა* - ვის და როგორ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფონდის მუშაობაში. ამ მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებზე შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვება წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით. ანალოგიური მიდგომის გამოყენება შეიძლება ადგილობრივი ბიზნესიდან მხარდამჭერთა იდენტიფიცირებისთვის - ვინ არის მზად მხარი დაუჭიროს ფონდის მუშაობას და რა პირობებით. იგივე პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული თვითმმართველობასთან მუშაობისას - რა მიმართულებით და როგორ შეიძლება თანამშრომლობა. თითოეულ მუნიციპალიტეტში შესწავლილი უნდა იყოს აქტიური ახალგაზრდების რესურსები - რა სჭირდებათ იმისთვის, რომ აქტიურად ჩაერთონ ფონდის საქმიანობაში, უნდა დაიგეგმოს შესაბამისად მათი გაძლიერება.

3.3 *საზოგადოებრივი ფონდის მუშაობის პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა* - საზოგადოებრივი ფონდის ეფექტური მუშაობისთვის მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემისთვის საერთო პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. პრიორიტეტული თემები უნდა უკავშირდებოდეს სამიზნე მუნიციპალიტეტების „ბრენდირებას“ და ამ მიმართულებით, იმ თემების განსაზღვრა, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. თელავის შემთხვევაში ეს თემები უკავშირდება თელავის სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსს. ლაგოდეხის შემთხვევაში - ნაკრძალსა და სოფლის მეურნეობის (ბიო-მეურნეობა, აგრო ტურიზმი) განვითარებას. თავისი საქმიანობით, საზოგადოებრივმა ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი რესურსების განვითარებას - ადგილობრივი მცირე მეწარმეები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ნიჭიერი ახალგაზრდები და სხვა. საზოგადოებრივი ფონდის პრიორიტეტული მიმართულებები

აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობას და მათ განვითარებაზე ორიენტირებული, მეგობრული გარემოს შექმნას. საზოგადოებრივი ფონდის პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევისას, გასათვალისწინებელია ფონდის ფინანსური შესაძლებლობები - ფონდი არ უნდა შეეჭიდოს (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე) მაღალბიუჯეტიანი, მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტას. საზოგადოებრივი ფონდის პრიორიტეტული მიმართულების შერჩევისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები - ფონდის საქმიანობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გეგმა რაიმე მიზეზის გამო არ ითვალისწინებს ადგილობრივი თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, პრიორიტეტი სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი ფონდის პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევაში აქტიურად იყოს ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა და ყველა დაინტერესებული ჯგუფი (ბიზნესი, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ემიგრანტები და სხვა) - შესაძლებელია გამოკითხვის ჩატარება, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იდენტიფიცირებული საკონტაქტო პირებისა და ონლაინ სივრცის დახმარებით.

3.4 *საზოგადოებრივი ფონდის დაფუძნების მოსამზადებელი სამუშაოს წარმართვა მხარდამჭერი ორგანიზაციის ხელშეწყობით* - მნიშვნელოვანია, ზემოთ აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაო განხორციელდეს მხარდამჭერი ორგანიზაციის ორგანიზაციული და ფინანსური მონაწილეობით. მიზანშეწონილია ეს საქმიანობა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში (6-8 თვე), პარალელურად წარიმართოს ორივე მუნიციპალიტეტში.

4. ***საზოგადოებრივი ფონდის დაფუძნება*** - საინიციატივო ჯგუფის მუშაობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ფონდის დაფუძნება, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა დიდწილად წარმოდგენილი იქნება საინიციატივო ჯგუფის წევრებით; ასევე, მის შემადგენლობაში შევლენ ადგილობრივი საზოგადოებისთვის ნაცნობი და მაღალი რეპუტაციის მქონე პირები სხვადასხვა სექტორიდან. საზოგადოებრივი ფონდის მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის საინიციატივო ჯგუფის მიერ შეიქმნება წინაპირობები -

განისაზღვრება მხარდამჭერი პირები და ჯგუფები, მხარდამჭერების რესურსები - შეიქმნება მონაცემთა ბაზა. ასევე, განისაზღვრება ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლითაც ფონდმა მუშაობა უნდა დაიწყოს.

5. ***საზოგადოებრივი ფონდის მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:***

- საზოგადოებრივმა ფონდმა უზრუნველჰყოს ადგილობრივი თემის ზედმიწევნით ინფორმირება დაგეგმილი და უკვე განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- ადგილობრივი მოსახლეობის ნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, ფონდის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, განსაკუთრებით ფინანსურ ნაწილში;
- ფონდის საქმიანობის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივ თემის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე რომ მოსახლეობა გრძნობდეს მიკუთვნებულობას ფონდის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.
- მიღებული კონკრეტული შედეგები, მიღწევები და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მათი მნიშვნელობა სათანადოდ იყოს წარმოჩენილი, ისე რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარ თავთან /ოჯახთან, საკუთარ უბანთან თუ სპეციფიკურ ჯგუფთან მიმართებით დაინახოს კონკრეტული სარგებელი.
- საზოგადოებრივი ფონდის საქმიანობის საწყისს ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ფონდის საოპერაციო ხარჯები დააფინანსოს მხარდამჭერმა ორგანიზაციამ - იმისთვის, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გაიზარდოს ნდობა საზოგადოებრივი ფონდის მიმართ, მნიშვნელოვანია მოსახლეობამ იცოდეს, რომ მათ მიერ გაღებული თანხა ხმარდება არა კონკრეტული ადამიანების ხელფასებს, არამედ მიმართულია ერთობლივად შერჩეული პრობლემების მოსაგვარებლად. მას შემდეგ, რაც ფონდი ადგილობრივ მოსახლეობას დაანახებს კონკრეტულ შედეგებს, ადგილობრივი თემი აღიარებს მის მნიშვნელობას და მზად იქნება დაფაროს ფონდის ადმინისტრირების თანხაც.

6. ***მხარდამჭერი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ფონდის დაარსებისა და მასთან ხანგრძლივი თანამშრომლობის შესახებ*** - ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში,

საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეული საზოგადოებრივი ფონდის მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, მხარდამჭერი ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ მუნიციპალიტეტშია რეკომენდებული საზოგადოებრივი ფონდის დაფუძნება და მასთან თანმშრომლობა. მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძნება თითოეულ მუნიციპალიტეტში საინიციატივო ჯგუფის მუშაობის შედეგებს - მთავარ კრიტერიუმს კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან გამოვლენილი ინტერესი; მათი მზაობა ჩაერთონ ფონდის მუშაობაში და კონკრეტული წვლილი შეიტანონ მის საქმიანობაში. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, მხარდამჭერმა ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს სამი სახის გადაწყვეტილება:

- *ორივე მუნიციპალიტეტში* დაუჭიროს მხარი საზოგადოებრივი ფონდის დაარსებას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას - იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივი თემის დაინტერესება ორივე მუნიციპალიტეტში მაღალი იქნება.
- *მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში* დაუჭიროს მხარი საზოგადოებრივი ფონდის დაარსებას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელი შეუწყოს მის გაძლიერებას - იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივი თემის დაინტერესება მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში იქნება მაღალი.
- *არცერთ მუნიციპალიტეტში* არ დაუჭიროს მხარი საზოგადოებრივი ფონდის დაარსებას - იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ფონდის მიმართ ადგილობრივი თემის დაინტერესება არცერთ მუნიციპალიტეტში არ იქნება მაღალი.

მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, გაწეული საქმიანობით, მხარდამჭერი ორგანიზაცია მნიშვნელოვან სამუშაოს გასწევს ორივე მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ფონდების მიმართ ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლების

თვალსაზრისით, რაც კარგ წინაპირობას ქმნის ადგილობრივ დონეზე ფილანტროპიისა და სამოქალაქო აქტივიზმის გასაზრდელად.

ბიბლიოგრაფია:

Association for Community Relations. (2018). *A Guide to Community Foundations in Romania.* Berlin: Bundesverband Deutscher Stiftungen e.V. (Association of German Foundations).

Community Foundation Atlas. (2020). *Facts: Community Foundation Atlass*. Retrieved October 10, 2020, from Community Foundation Atlas web site: https://communityfoundationatlas.org/facts/

Council on Foundtions. (2020). *Community Foundations*. Retrieved from Council of Foundations website: https://www.cof.org/foundation-type/community-foundations-taxonomy

European Community Foundation Initiative. (2020). *Knowledge Center*. Retrieved from European Community Foundation Initiative website: https://www.communityfoundations.eu/community-foundations-in-europe/knowledge-centre.html

Hernández, A. R., Hernández, R. M., & Díaz, J. C. (2010). *Community foundations in Spain and Portugal, and their influence on local Development.* Cáceres.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020 წლის 12 დეკემბერი). *მიგრაცია*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020 წლის 15 დეკემბერი). *შინამეურნეობის შემოსავლები*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020 წლის 16 დეკემბერი). *ცხოვრების დონე*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021 წლის 15 იანვარი). *ბიზნეს სექტორი*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021 წლის 12 იანვარი). *მოსახლეობა*. მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021 წლის 20 იანვარი). *ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021 წლის 10 იანვარი). *საარსებო მინიმუმი.* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi-დან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021 წლის 1 თებერვალი). *სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი.* მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: http://br.geostat.ge/register_geo/-დან

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2021 წლის 20 იანვარი). *მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზა.* მოპოვებული სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476-დან